რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 25 მაისი 1917 წ.

# ერთობა

ფასი 7 კაპ.

თანამედროვე აზრის ... ურჩელ

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ფულის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ა ... ს: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Т ... лисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 54 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 54

## ამხანაგებო! შეგვაძენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

რ. ს.-დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის ბიურო აცხადებს, რომ უფასოთ და ფასდადებით წიგნები არავის გაეგზავნება.

დიდით დამწუხრებულნი: დედა ალათი; მამა გიტო; ძმები აპალონ და ვახტანგი; დები: კატო, ნატაშა, მინადორა, ქალია და კიკალა სამსონიები; სიძეები ვლადიმერ ქუთათელაძე და სპირიდონ ჯანჯღავა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას გიმნაზიელის

**ბარისა (ბორია) ვიტოს ძის სამსონიას,**

რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია 25 მაისს ძიმითის წმინდა კვირიკის ეკლესიაზე დღის 12 საათზე.

**სამტრედიის რ. ს.-დ. მ. პარტიის კომიტეტი**

იწვევს მთელი რაიონის პარტიის წევრების ყრილობას კვირას, 28 მაისს, რკ. გზის კლუბში დილის 11 საათზე.

განსახილველია 1) კავკასიის პარტიულ სიეზდისთვის წამოყენებული კითხვები; 2) დელეგატების არჩევნები.

კომიტეტი სთხოვს საზოგადოების (სამტრედია, კულაში, ჭაგანი, ეწერი, ჯიხაიში, გამოჩინებული, ტობანიერი და მუხაყრუა) კოლექტივებს, მოახდინონ ძირითადი ორგანიზაციების კრებები და გააცნონ მოხსენებული კითხვები, რათა რაიონულ საერთო ყრილობისთვის დამზადებულნი იყვნენ წევრები.

3—2 სამტრედიის ს.-დ. რაიონის კომიტეტი.

თფ. ორგანიზაციის რ. ს.-დ. მ. პ. მეორე რაიონულ კოლექტივის მდივანი სთხოვს ამხანაგებს, ვისაც წაღებული აქვს ჩეკები, საწევრო ფულის გადასახადისა, საჩქაროთ წარმოადგინონ ბიუროში, ვინაიდან საჭიროა რეგისტრაცია პარტიის წევრებისა, მომავალ თავყრილობაზე მონაწილეობის მისაღებათ.

**თფ. ორგანიზაციის რ. ს.-დ. მ. პ. მეორე რაიონულ** კოლექტივის ლიტერატურული და ფინანსიური კომისიები აცხადებენ, რომ ხუთშაბათს, 25 მაისს, საღ. 6 საათზე დანიშნულია ამ კომისიების კრება—კოლექტივის ბიუროში.

თფილისის ორგანიზაციის რ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივი აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ, რომ პარასკევს, 26 მაისს, საღამოს 6 საათზე ხარფუხის კლუბში (მიხაილოვის პროსპექტი)

**ამხ. ნოე ხომერიკი წაიკითხავს ლექციას**

აგრარულ საკითხზე. ქართულ ენაზე. 2—1

**გიმნაზია ე. ს. ბილანიშვილისა**

(სრული უფლებით).

თხოვნები ორთავე სქესის ბავშვებისათვის გიმნაზიის კანცელარიაში დილის 10—1 ს-მდე, პირველ სამ დაწყებითი განყოფილებებში და 1, 2 და 3 კლასებში ბაბა აივაზის სახლებში.

**ფრებელის**

სახელობის კურსების მსმენელებო! 27 მაის მოხდება ყულაბებით ფულის მოგროვება

**სახალხო საბავშვო ბაღების დასაარსებლათ**

ქალაქის ულარიბეს უბნებში. თანამგრძნობთ ვსთხოვთ გამოცხადდენ 25 მაისს საღამოს 5—6 საათამდე კურსების კანცელარიაში დიდი მთავრის ქ. № 109.

**ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი.**

სახალხო სახ. არს. ქართ. წარმ. მმარ. წრე.

ოთხშაბათს, 25 მაისს 1917 წ. ა. ცაგარლის გარდაცვალებიდან 15 წ. ხსოვნის აღსანიშნავად ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება მისივე პიესა

**1. რაც გინახავს ვეღარ ნახავ**

კომ. 3 მოქ.

**2. ცოცხალი სურათები.**

მონაწილეობას მიიღებენ: სცენის მოყვარეთა მთელი წრე.

დასაწყისი საღ. სწორეთ 8 ნახ. საათზე. ✦ ადგილების ფასი 20 კ-დან 1 მ. 49 კ-მდე. ბილეთების კასა ღიაა ყოველდღე დილის 12—2 საათამდე და საღამოს 6—8 ს-დე. შემდეგი წარმოდგენა 25 მაის. ✦ ✦ რეჟ. ქ. შათირიშვილი.

**გამგეობა**

კავკასიის საზოგადოების ექიმთა თანაშემწეების და ბებია ქალთა 1 ხარისხ. ამით სთხოვს ამხანაგებს—დაესწრონ საჩქაროთ მოწვეულ

**საერთო კრებაზედ,**

რომელიც დანიშნულია 28 ამა მაისს და შესდგება კავკასიის ექიმთა საზოგადოების დარბაზში. (ქ. თფილისი, ალექსანდრეს ბაღი). საღამოს 6 საათზე.

კრების მიზანი: წარმომადგენლის არჩევა ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოში გასაგზავნად და მიმდინარე საქმეების და კითხვების გარკვევა. გამგეობა. (2—1)

**ექიმი მ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

**ექიმი ბ. მ. მუხაძე**

იღებს სალოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

თფილისის ორგანიზაციის მესამე რაიონის კოლექტივის ბიურო რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია ავლაბრის კლუბში (კახეთის ქუჩა, № 1). იქვე მიიღებიან წევრები დილის 10—12 საათამდე, საღამოს 4—7 საათ.

ახალი დაარსებული მცხეთის რაიონის, დუშეთის მაზრის სოც.-დ. ჯგუფი მოუწოდებს ყველა ამხანაგს ჩაეწერონ პარტიაში. მალე მოხდება დამფუძნებელი კრება, რომელიც აირჩევს დუშეთის მაზრის ს.-დ. კომიტეტს. მცხეთის რაიონის დუშეთის მაზრის სოც.-დემ. პარტიის ჯგუფი. მსურველთ შეუძლიათ წევრათ ჩაეწერონ შემდეგ პირებთან: დუშეთში მიშა კლიმიაშვილთან, მცხეთაში დ. ქიტუაშვილთან, გ. დეკანოზიშვილთან, ჯარის კაც ს. ... ერლიშვილთან, ალ. კაპანაძესთან, შ. კობიაშვილთან, პ. ვოგისვანიძესთან და დ. გურგენიძესთან (კარსანში).

## საიდუმლო დიპლომატიას ფარდა ეხსნება.

რუსეთის დიდი რევოლიუცია საიდუმლო დიპლომატიას ფარდას ხდის. მუშათა და ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭოები ეს ერთი ხანია მოითხოვდა სხვა სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით შეთანხმების კოალიციასთან ხელშეკრულობათა გამოქვეყნებას და ამ გზით ცდილობდენ ფარდა აეხადათ იმ სამარცხვინო და ქვეყნის დამღუპველი იმპერიალისტური პოლიტიკისთვის, რომლის მეოხებით თითქმის სამ წელზე მეტია, რაც მსოფლიო ომი სწარმოებს და ერთი მეორის წინააღმდეგ გამანადგურებელ ბრძოლას ეწევიან.

მილიუკოვ-გუჩკოვი საიდუმლო დიპლომატიურ ხელშეკრულობათა გამოქვეყნების საშინელი წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ რუსეთის დემოკრატია და რევოლიუციონური კლასები მაინც არ სცხრებიან და დაჟინებით საიდუმლო დოკუმენტების გამომზეურებას მოითხოვენ. და აი პირველი შედეგიც: საფრანგეთს სოციალისტებმა წამოაყენეს ასეთივე მოთხოვნილება. მათ საპასუხოთ მინისტრ-პრეზიდენტმა რიბომ საქვეყნოთ განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობა ახლო მომავალში გამოაქვეყნებს ყველა იმ დოკუმენტებს, რომლებიც რუსეთსა და საფრანგეთს შორის დადებულ ხელშეკრულებას შეეხება.

ამ სახით რუსეთის დიდი რევოლიუციის ზედგავლენით საფრანგეთის მთავრობა იძულებული ხდება საიდუმლო დიპლომატიურ ხელშეკრულობას ფარდა ახადოს და ის, რაც მთელი საუკუნოების განმავლობაში მხოლოდ მინისტრთა დახურულ კარებში, კაბინეტებში სწარმოებდა, ახლა საქვეყნოთ გასაგები გახდება. ახლა უკვე სინამდვილეთ იქცევა კარლ მარქსის წარსული საუკუნის ნახევარში გამოცემული მოწოდება, რომელშიაც იგი მთელი ქვეყნის პროლეტარიატს აფრთხილებდა, რომ მათ თავთავიანთ მთავრობის საიდუმლო დიპლომატიისათვის თვალყური ედევნებიათ და მისი მოქმედებისათვის ფარდა აეხადათ. ახლა საერთაშორისო პროლეტარიატი ძალას იკრებს, ის იმდენათ ძლიერდება, რომ იგი მზათაა საიდუმლო დიპლომატიის გაუქმება მოითხოვოს და იგი პრაქტიკულათ განახორციელოს.

დიპლომატია უმთავრესათ საგარეო პოლიტიკის გარშემო ტრიალებდა. თითოეული სახელმწიფოს დიპლომატია საგარეო პოლიტიკის, ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ საგარეო ბაზრებისა და ახალი კოლონიებისა და ქვეყნების შემოერთებისათვის სხვა და სხვა სახელმწიფოებთან საიდუმლო ხელშეკრულებას სდებდა და საიდუმლო დოკუმენტების მეოხებით თავთავიანთ საქმეებს აწყობდა.

ამ ნიადაგზე ხდებოდა სხვა და სხვა სახელმწიფოების ურთიერთა შორის შეთანხმება-დაკავშირება. გარდა ამისა საიდუმლო ხელშეკრულობის მეოხები თითოეული მოკავშირე სახელმწიფო მოვალე ხდებოდა საგარეო და საშინაო ომის დროსაც ერთმანეთს იარაღით ხელში დახმარებოდენ და ამის მეოხებით იმპერიალისტური პოლიტიკა განემტკიცებინათ.

საიდუმლო დიპლომატია თანამედროვე ბურჟუაზიული კლასების ხელში უძლიერესი იარაღი იყო და მისი მეოხებით საერთაშორისო პროლეტარიატის საწინააღმდეგო საქმეებს აკეთებდა.

გერმანიის არქი-რეაქციონერი ბისმარკი ამბობდა: საიდუმლო დიპლომატია თანამედროვე სახელმწიფოების ხელში ძლევა-მოსილი საშუალებაა და ხშირათ დიპლომატია მეტს აკეთებს, ვიდრე დიდი საგარეო ომები.

ბისმარკმა აშკარათ გამოხატა მთელი კაპიტალისტური სახელმწიფოების იმპერიალისტური პოლიტიკის სულისკვეთება, მისი ბრძოლის იარაღები.

საიდუმლო ხელშეკრულობისა და დიპლომატიის მეოხებით შესდგა საფრანგეთ-რუსეთის კავშირი, საიდუმლო დიპლომატიური ხელშეკრულობის საშუალებით მოეწყო ცენტრალურ სახელმწიფოების კავშირი და ეს ორი მოწინააღმდეგე კოალიცია მთელი ნახევარ საუკუნის განმავლობაში იარაღდებოდა და იმპერიალისტური ომისათვის ემზადებოდა. როგორც ვიცით ამ მზადებამ ნაყოფი გამოიღო და მთელი კაცობრიობა ცეცხლის ალში გახვია. და აი დღეს, საერთაშორისო დემოკრატია რუსეთის დიდი რევოლიუციის მეოხებით ძალას იკრებს, იმპერიალისტური დაპყრობით პოლიტიკას ბრძოლას უცხადებს და უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს მოითხოვს. ეჭვს გარეშეა ასეთ ლოზუნგის გარშემო ამოძრავებული საერთაშორისო პროლეტარიატი საიდუმლო დიპლომატიის მიერ დადებულ ხელშეკრულებათა გამოქვეყნებას მოითხოვს და მის გაუქმებას მიზნათ დაისახავს. საიდუმლო დიპლომატიის გაუქმება და მისი მოსპობა პროლეტარიატის საქმეა, როგორც სჩანს ეს დღე ახლოა.

## ქალაქის თვითმართველობათა განახლება.

ახლო მომავალში ქალაქის არჩევნები მოხდება. საარჩევნო კამპანია იწყება.

კანონი დემოკრატიულია. ყველა მოქალაქე განურჩევლათ სქესისა, ხნოვანობით არა ნაკლებ 20 წლისა, მონაწილეობას იღებს არჩევნებში. დემოკრატია ქალაქის ბედიღბალს ეპატრონება. ეს ემუქრება პლუტოკრატიას. ამიტომაც არის პლუტოკრატიული წრეები შეიძრენ და თავისი ბატონობის შესანარჩუნებლათ ემზადებიან.

ამჟამათ საარჩევნო სიების შედგენა წარმოებს. ეს მეტათ თვალსაჩინო საქმეა. ვინ უნდა იკისროს მისი ხელმძღვანელობა?

რასაკვირველია არა პლუტოკრატიამ, რომელიც დემოკრატიის ნდობას მოკლებულია; ამიტომაც იყო თფილისში მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს დადგენილების თანახმათ ეს საქმე ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრა. ასევე უნდა მოიქცენ პროვინციაშიც. აქ დაყოვნება სახიფათოა. ჯერ ერთი ეს იქნებოდა გამოცემული კანონის დარღვევა, რომლის თანახმათ საარჩევნო სიები უნდა გამოქვეყნდეს ორი კვირის განმავლობაში დღიდან კანონის ადგილობრივ გამოცხადებისა. ამიერ კავკასიაში ეს გამოაქვეყნეს 16 აპრილს გაზეთ „კავკაზში". ამიტომაც ყველგან ახლავე უნდა შეუდგენ სიების შედგენას და საერთოთ საარჩევნო სამზადისს. ამას მოითხოვს უპირველესათ დემოკრატიის ინტერესები. ბურჟუაზია მოკალათებულია ქალაქის მართველობაში და ბატონობას თავისი ნებით რასაკვირველია არ დასთმობს. დაეპატრონეთ ქალაქის თვითმართველობას, ეს იქნება რევოლიუციის მიერ თვალსაჩინო სიმაგრის აღება. ამიტომაც დემოკრატია ვალდებულია მთელი თავისი ყურადღება ამხანათ ამ საქმეს მიაპყროს. პლუტოკრატიის ბატონობის დამხობა რევოლიუციის განმტკიცების გზა და ხიდია.

თფილისში კვირიდან ამრჩეველთა აღწერა მოხდება. განა საეჭვოა, რომ პლუტოკრატია ძალლონეს და ფულს არ დაიშურებს, რომ საარჩევნო სიიდან დემოკრატია განდევნოს და შიგ თავისი მომხრენი მოაწყვდიოს, მაგ. უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი, რომელნიც საარჩევნო უფლებას მოკლებული არიან! ხალხი ვალდებულია მთელი თავისი ძალღონით შეეცადოს პლუტოკრატიის ოინები ჩაფუშოს. ამოძრავდენ სარაიონო და სასურსათო კომიტეტები და პლუტოკრატიას კრიჭაში ჩაუდგენ.

რევოლიუცია თუ პლუტოკრატია?—აი როგორ დგას კითხვა.

რევოლიუციის განმტკიცება ქალაქის პლუტოკრატიის სამუდამო დამარცხებას მოითხოვს.

## მუშები და გლეხკაცობა.

რუსეთის რევოლიუციის მთავარი ძალა, მისი მებაირაღტრე მუშათა კლასია. რევოლიუციის როგორც დამანგრეველი, ისე შემოქმედებითი მუშაობა უმთავრესათ მას აწევია ზურგზე. მარა რევოლიუციის დაგვირგვინება სახელმწიფო და საზოგადო წყობილების სრული დემოკრატიზაციით შესაძლებელია მხოლოდ ერთი პირობით: თუ გლეხკაცობა ამ საქმეში ბოლომდი გაჰყვება და მასთან ერთად იბრძოლებს ძველი ცხოვრების ყველა ნაშთების აღმოსაფხვრელათ. გლეხკაცობის სულისკვეთებაზეა, რასაკვირველია, დამოკიდებული ჯარის სულისკვეთებაც.

და აი, ბურჟუაზიული წრეები, რომლებიც დღეს რევოლიუციის გაღრმავებით და გაფართოებით უკმაყოფილონი არიან, ცდილობენ მუშებსა და ჯარს შორის, და აგრეთვე მუშებსა და გლეხებს შორის უფსკრული გააგდონ, ისინი ერთი მეორეს დაუპირდაპირონ და ასე მუშათა კლასი განამარტოვონ.

ეს ტენდენცია დღეს აშკარათ სჩანს და რაც დრო გავა, მით უფრო გაძლიერდება. ამიტომ რევოლიუციონური მუშების ამ მხარეს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

მუშათა კლასის რევოლიუციონური ორგანოები მთელი თავისი სიძლიერით უნდა აღუდგენ ასეთ მისწრაფებას.

განსაკუთრებით ჩვენში, კავკასიაშია, ეს საკითხი მეტის მეტად სერიოზული და მწვავეა. სხვა და სხვა ერის ნაციონალისტები ცდილობენ დემაგოგიური ფანდებით, შოვინისტური აგიტაციით ფეხი მოიმაგრონ გლეხობაში და მერე ის მუშებს დაუპირდაპირონ. ეს დაპირდაპირება კი ბუნებრივი აუცილებლობით მოხდება. ამიერ კავკასიის მუშები და მათი ორგანიზაციები ინტერნაციონალურია. აქ ერთად ერთი კლასი, რომელსაც შეუძლია სხვა და სხვა ერის დემოკრატია შემოიკრიბოს—ეს მუშათა კლასია. ყველა დანარჩენი კლასები და ჯგუფები ნაციონალისტურ ნიადაგზე დგანან და აკავშირებენ მხოლოდ თავ-თავის ერის ძალებს,—აკავშირებენ წინააღმდეგ სხვა ერთა. ამიტომ ნაციონალისტთა გაძლიერება სოფლათ—ეს აუცილებლათ გლეხების ჩამოშორება მუშებისაგან. იგი მათ განმარტოებას და რევოლიუციის დასუსტებას ნიშნავს.

ეს რომ არ მოხდეს მუშათა საბჭოებს—მუშათა კლასის ამ რევოლიუციონურ ორგანოებს მართებთ სოფლებზედაც გაავრცელონ თავისი ორგანიზაციული გავლენა. ამ მხრივ თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს დიდი გამოცდილება აქვს. მან დღიდან მუშაობის დაწყებისა გამოყო სპეციალური კომისია—სოფლის კომისია, რომელსაც მიანდო გლეხკაცობის შეკავშირება და საზოგადოთ სოფლის ახალ საფუძველზე მოწყობა. სასოფლო კომისიამ ძლიერ დიდი მუშაობა გასწია. დღითი დღე მისი მოქმედების რაიონი ფართოვდება. ამ ჟამათ ის აღარ კმაყოფილდება თფილისის გუბერნიით და უკვე ერევნის და განჯის გუბერნიებშიაც გააჩაღა მუშაობა. მისი გავლენა გლეხობაზე განუზომელია. ყოველ დღე თფილისში შორეული სოფლებიდან, სადაც ჯერ ორგანიზაციები არ არის მოწყობილი, მოდიან და სთხოვენ სასოფლო კომისიას კაცსა და დარიგებას.

მარა არ კმარა მარტო თფილისის მუშათა საბჭოს ასეთი მუშაობა. ყველა ადგილობრივმა საბჭომ ამავე გზას უნდა დაადგეს. უნდა დაარსებულ იქნას ყველა პროვინციალურ საბჭოებთან სასოფლო კომისიები, რომლებიც თავის გარშემო შემოიკრებენ განსაზღვრული რაიონის გლეხობას. ადგილობრივი მუშათა საბჭოების სასოფლო კომისიები უნდა გახდენ რევოლიუციონური გლეხობის ცენტრი.

ჩვენ ვიცით, თუ რა ძნელია მიყრუებულ სოფლებში მტკიცე ორგანიზაციის შექმნა. ამისთვის არ არის არც ინტელიგენტური ძა-

ლები და არც გამოცდილება. დღეს კი ყველაფერი ახალ საფუძველზე უნდა მოეწყოს. ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სოფლის სუსტ ძალებს დასაყრდენი წერტილი ექნებათ. ასეთი კი უნდა იყვენ პროვინციის მუშათა საბჭოები.

ჩვენ მოვუწოდებთ ამხანაგებს მიბაძონ თფილისის მაგალითს და ყველგან სერიოზული ყურადღება მიაქციონ გლეხთა ორგანიზაციულათ შეკავშირებას.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება სოფელი ქალაქს მიყვეს, რომ ქალაქის რევოლიუციამ სოფლათ ნიადაგი მოიმაგროს.

# პრესა.

ჩვენი ფედერალისტები უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდენ. მათ უნდათ დაამტკიცონ, რომ რუსეთის ს.-რევოლიუციონერებისაგან ნასესხები აგრარული პროგრამა ჩვენს ადგილობრივ პირობებს ეგუება. მარა ამის დამტკიცება ძნელია და ისინიც ოფლში იწურებიან და ფრაზების რახარუხით სურთ ფონს გავიდენ. ჩვენ ამას წინათ აღვნიშნეთ ერთი საყურადღებო წინააღმდეგობა: ს.-ფედერალისტები მუდამ ადგილობრივ პირობებსა და დეცენტრალისტურ პრინციპებზე ლაპარაკობენ, მაგრამ აგრარულ საკითხში ერთიც და მეორეც დაივიწყეს და ესერების უთავბოლო პროგრამა უკრიტიკოთ მიიღეს. ახლა „სახ. ფურცელში" ბ. ა. პაპავა ცდილობს ეს დაარღვიოს. იგი სწერს:

„ჩვენ ვამბობთ—მიწის მფლობელობის საკითხი ყველგან უნდა გადაწყდეს სამართლიანობის და ჭეშმარიტების სახით, ე. ი. თანასწორობითი სარგებლობის სახით. ამ სამართლიანობას ჩვენ ყველგან დავიცავთ და ვეცდებით, განსაკუთრებით საქართველოში მოვუმზადოთ მას ნიადაგი".

კარგი და პატიოსანი! მარა მიწის სოციალიზაცია ხომ გლეხებისათვისაც ნიშნავს მიწების ჩამორთმევას? როგორ სურთ ბ.ბ. ფედერალისტებს დაარწმუნონ ჩვენი გლეხკაცობა, რომ ეს ზომა მისაღებია? შიდა რუსეთში თემური მიწათმფლობელობა არსებობდა. დღეს იქაც-კი იგი სრულ დარღვევის გზას ადგია. სოც.-რევოლიუციონერები ამ წარსულის ნაშთს ებღაუჭებიან და ისტორიის უკუღმა შემოტრიალებას ცდილობენ. ჩვენში თემური მიწათმფლობელობის ხომ ნასახიც არსად არის და ნუ თუ ამის თავზე მოხვევა ჩვენი გლეხებისათვის პირველ ყოვლისა სწორეთ ადგილობრივ პირობების დავიწყება არ არის?

თანასწორი და სამართლიანი სარგებლობა! გვიბრძანეთ ერთი, შეუდარებელო ბრძენნო, როგორ გინდათ მოაწყოთ ბაღების, ვენახების, ჩაის პლანტაციების, ფორთოხლის ბაღების და სხვათა თანასწორი სარგებლობა. მიწის სოციალიზაცია ხომ მიწების დროგამოშვებითი გადაყოფა-განაწილებას მოითხოვს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორ შეიძლება ბაღს, ვენახს და სხვ. დღეს ერთი პატრონი ჰყავდეს, ხვალ კი მეორე. გვიპასუხონ ამაზე პირდაპირ ფედერალისტებმა.

ჩვენი სწორუპოვარი დამცველი გლეხებისა განაგძობს:

„ჩვენ არ გვინდა გლეხი კვლავ დარჩეს უსაზღვრო ექსპლოატაციის ობიექტათ და ეხლავე შევეცდებით ისეთი სახით მოვაწყოთ მიწის ფლობელობის საქმე, რომ გლეხობა ამ ექსპლოატაციის ბრჭყალებიდან გამოვიხსნათო" და სხვ.

აი, ამას ჰქვია სწორეთ გლეხობის მოტყუება. თურმე ხუ იტყვით მიწის სოციალიზაცია სოფლათ ექსპლოატაციას მოსპობს და თანამედროვე კაპიტალისტური ურთიერთობის მაგიერ სამოთხეს დაარსებს! კაპიტალიზმი ძალაში დარჩება საზოგადოთ, ხოლო სოფლათ ექსპლოატაცია აღარ იქნება. განა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რომ ეს ფანტაზიაა, უტოპიაა და მეტი არაფერი?

როგორ მოგწონთ ეს ექსპლოატაციის მოსპობა სოფლათ, რომელიც ქალაქზე ჩამორჩენილია, ხოლო ქალაქში მისი დატოვება.

მარა კმარა! განა ყველასათვის ცხადი არ არის ს. ფედერალისტთა უტოპიური ჩიხვის სრული უნიადაგობა?

# დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 20—23 მაისი.)

**ჯარის ყრილობის გათავება.**

**კამენეც-პოდოლსკი.** 21 მაისს დასრულდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარის დელეგატთა ყრილობა. ყრილობამ გამოიტანა რეზოლიუცია აგრარულ საკითხის შესახებ, ადლერის სიკვდილით დასჯის განაჩენის წინააღმდეგ და მოწოდების შესახებ დაეხმარონ ბულგარელებს ჩამოაგდონ ფერდინანდი.

**ზომები არეულობის წინააღმდეგ.**

**ლონდონი.** ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ შეერთებულ შტატების მთავრობა ყოველივე ზომებს ხმარობს უწესოების წინააღმდეგ, ყოველგან აპატიმრებენ იმ პირთ, რომლებიც ჯარში წასვლის წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან. გუშინ მადისონსკვერში მოხდა პაციფისტთა მიტინგი, მიტინგს თვალყურს ადევნებდა შეიარაღებული პოლიცია. ვინტოვკებით შეიარაღებული პოლიციელები ყველა ქუჩებში იდგენ. მიტინგი მშვიდობიანათ გათავდა.

**უმაღლეს მთავარ-სარდლის გადაყენება.**

**პეტროგრადი.** დროებითმა მთავრობამ გადააყენა ჯარის უმაღლესი მთავარ-სარდალი გენერალი ალექსეევი და მის ადგილას დაინიშნა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მთავარ-სარდალი გენერალი ბრუსილოვი, ხოლო მის ადგილზე გენერალი გუტორი.

**დელეგატების დაბრუნება.**

**პეტროგრადი.** პეტროგრადში დაბრუნდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მიერ კრონშტადტში გაგზავნილი დელეგაცია. მას უნდა გამოერკვია ის მდგომარეობა, რომელსაც დამოკიდებულება აქვს კრონშტადტის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს უკანასკნელ რეზოლიუციასთან დროებით მთავრობასთან დამოკიდებულების შესახებ. კრონშტადტის აღმასრულებელმა კომიტეტმა პეტროგრადში დელეგატები გაგზავნა ამ გაუგებრობის გამოსარკვევათ.

**სტოკჰოლმის კონფერენცია.**

**სტოკჰოლმი.** 21 მაისს სტოკჰოლმში მივიდენ გერმანიის სოც.-დემოკრატიულ პარტიის უმრავლესობის დელეგატები. 22 მაისს დაიწყო ამ დელეგაციის და ჰოლანდია-სკანდინავიის კომიტეტის თათბირი. გერმანელი დელეგატები ჟურნალისტებთან საუბარზე უარს ამბობენ.

**კრონშტადტის მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭ. დადგენილება.**

**პეტროგრადი.** 18 მაისი (დაგვიანებულია). მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ 17 მაისის კრებაზე 210 ხმით წინააღმდეგ 40 ხმისა (8 თავი შეიკავა) დაადგინა ხელში ჩაიგდონ ქალაქ კრონშტადტის მართვა-გამგეობა, გამოაცხადონ, რომ კრონშტადტი არა სცნობს დროებით მთავრობას, უნდა გადააყენონ კრონშტადტში მყოფი მთავრობის ყველა თანამდებობის პირნი და მათ ადგილზე თავიანთი დააყენონ, პეტროგრადთან დამოკიდებულების შესახებ დაადგინეს დროებით მთავრობას გვერდი აუხვიონ და პირდაპირ დამოკიდებულება იქონიონ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან. იუსტიციის მინისტრმა ეს ამბავი აცნობა დროებით მთავრობას და პეტროგრადის მუშა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს. როგორც წინა დეპეშიდან ვიცით, დელეგაცია გაგზავნეს მოსალაპარაკებლათ.

**ტყვეების გაცვლა.**

**პეტროგრადი.** მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს საერთაშორისო დამოკიდებულების განყოფილებამ განიზრახა მოლაპარაკება გამართოს გერმანიას და ავსტრიასთან გაუცვალოს მათ ტყვეები რუს ემიგრანტებში, რომლებიც იქ არიან დაჭერილები.

**კერენსკის სიტყვა.**

**ვოლმარი.** 23 მაისს დილით კერენსკი მოვიდა ვოლმარში. მას სადგურზე შეეგებენ გარნიზონის დ მუშების წარმომადგენელი. კერენსკიმ მიმართა ჯარის დ მუშების წარმომადგენლებს დ სთქვა, განთავისუფლებული რუსეთი ბედნიერია, რომ მას რესპუბლიკანურ საფრანგეთთან და ამერიკასთან ერთად უხდება ბრძოლა. და იმედი გამოსთქვა, რომ ეს სახელმწიფონი შესძლებენ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოგდებას. მინისტრის სიტყვას ურას ძახილით შეხვდენ. ერთი ჯარისკაცი მეტისმეტათ აღელდა და დაუყვირა: „გვიბრძანეთ, წაგვიყვანეთ სადაც გინდათ, მე თქვენი მონა ვარ და სიკვდილამდე თქვენი მორჩილი ვიქნებიო". კერენსკიმ უპასუხა, რომ თავისუფალ რუსეთში მონები აღარ არიან, ჩვენ ყველანი რევოლიუციის და რევოლიუციონურ რუსეთის წინაშე მოვალეობის მონები ვართ. კერენსკი დიდის ამბით გააცილეს.

**უნდობლობა ადმინისტრაციას.**

**ვორონეჟი.** რკინის გზის მოსამსახურეთა ყრილობამ საჭიროთ დაინახა განაცხადოს, რომ დადგა დრო სრული უნდობლობა გამოუცხადოს ადმინისტრაციას, ამიტომ უნდა დაარსდეს კონტროლი. რკინის გზის ადმინისტრაციას კონტროლი უნდა გაუწიოს რკინის გზის მოსამსახურემ ჯარისკაცმა და გლეხებმა. მათ სრული ძალა-უფლება ეძლევათ.

# ომის დეპეშები.

(პ. დეპ. სააგ.)

**პეტროგრადი.** 23 მაისი. დასავლეთის ასპარეზი. კრევის რაიონში მტერმა საარტილერიო სროლა განაცხოველა. მდ. ბერეზინას მიდამოებში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე დროგამოშვებითი სროლაა.

რუმინიის ფრონტზე სიწყნარეა. კავკასიის ფრონტზე, ერზრუმის სამხრეთით, აქ-ბაბის მთასთან ქურთების იერიშები შევაჩერეთ. ქერმან შახის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარმა რავანის პირი დაიკავა. ქურთებმა ჯევანრუდისაკენ დაიხიეს.

**პარიზი.** 21 მაისი. კრაონის რაიონში, ვოკლერისა და კალიფორნიის მაღლობებთან მთელი ღამის განმავლობაში მტერს გაფთრებული იერიშები მოჰქონდა, მაგრამ მათი იერიშები მოვიგერიეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ. საარტილერიო სროლა განაცხოველეს ლაბოველის გასწვრივ და მდ. ენის რაიონებში. შამპანში ჩვეულებრივი სროლაა.

**პარიზი.** 22 მაისი. ფრუადმონის ფერმის ჩრდილო-დასავლეთით საარტილერიო სროლა გაცხოველდა. აქ მტერმა შესძლო ჩვენი სანგრების პირველი წყების დაკავება. შამპანში, მეტონის მთასთან მტერს მოულოდნელათ თავს დავესხათ და იქიდან ტყვეები წამოვიყვანეთ.

**ლონდონი.** 22 მაისი. საფრანგეთის ფრონტზე, შერაზის სამხრეთით მტრის საყარაულო იდავიკავეთ. ლა-ბასეს პოზიციებთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ნევშაპელის რაიონში მტრის ბანაკს თავს დავესხით.

**ლონდონი.** 22 მაისი. მდ. სუშეს ნაპირებთან საარტილერიო სროლაა. აქ მტერს დიდი ზიანი მივაყენეთ და 92 ჯარისკაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ. გუშინ საჰაერო ბრძოლის დროს გერმანელების 5 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

**ლონდონი.** 22 მაისი. ინგლისის საადმირალო უწყების ცნობით გერმანელების ნაღმოსნებმა ბრიუგეს არხას გემთა საამშენებლო სადგურს ყუმბარები დაუშინეს.

# ამხანაგებო!

10 ივნისს ქ. თფილისში მოწვეულია ხიეზდი ამიერ კავკასიის სოც.-დემ. ორგანიზაციებისა. ამხანაგებს ვთხოვთ დაუყონებლივ შეუდგენ წამოყენებული კითხვების გარკვევას და სიეზდზე გასაგზავნ დელეგატების არჩევას.

დროებითი წესდების ძალით ერთს დელეგატს ირჩევს 200 პარტიული წევრი. ერთს დელეგატს გზავნიან აგრეთვე ისეთი ორგანიზაციები, რომელსაც 200 წევრი არა ყავს. დელეგატებმა უნდა წერილობითი მოხსენებებით წარმოადგინონ ადგილობრივ ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე შემდეგი ცნობები: 1) პარტიის წევრების რაოდენობა, 2) როდის დაარსდა ორგანიზაცია, 3) რაგვარი გამოსვლები იყო მომზადებული და რამდენი ჩატარდა. 4) როგორაა დაყენებული პარტიული ლიტერატურის გავრცელების საქმე და სხვა.

ამხანაგური სალამით საოლქო კომიტეტი.

# დეპეშა.

(საკ. კორ.)

**ყარსი.** ყარსის ს.-დემოკრატიული ორგანიზაცია ს.-რევოლიუციონერებთან და აუარებელ ხალხთან ერთად გთხოვთ შეუერთოთ მათი ხმა ადლერის სიკვდილის განაჩენის წინააღმდეგ საერთო საქვეყნო პროტესტის ხმას. თავმჯდომარე ჯაყელი.

# ახალი ამბები

ამიერ კავკასიის ს.-დ. კონფერენცია გაიხსნება 10 ივნისს. დელეგატები ამ დღისათვის უნდა ჩამოვიდნენ თფილისში.

✦ გუშინ დილით „ერთობის" რედაქციის კოლეგიის წევრს რაჟდენ (მიშა) არსენიძეს გადაუარა ავტომობილმა. ამხანაგის მდგომარეობა სერიოზულია.

✦ ჩხენკელმა დამფუძნებელ კრების მომწყობ იურიდიულ კომისიის თავმჯდომარე კოკოშკინიდან მიიღო დეპეშა, რომლითაც ის სთხოვს მას, რომ კომისიაში მუშაობის მონაწილეობის მისაღებად ქართველებმა გამოგზავნონ თავისი ორი წარმომადგენელიო. ამის გამო დეპუტატმა აცნობა ს. ფ., ნაც. დემ. და ს. რ. ამირჩიათ ერთი წარმომადგენელი. სოც. დემ. გაგზავნეს ევ. გეგეჭკორი.

✦ ამ დღეებში დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის წარმომადგენლებმა ანეტა ქავთარაძისამ და მ. სირაძემ ინახულეს ოლქის კომისარები აკაკი ჩხენკელი და კიტა აბაშიძე და სთხოვეს შემდეგი: 1) მიეცეს კავშირს ოლქის თანხიდან 15—20 ათასი მანეთი ამ ზაფხულში სახალხო მასწავლებელთათვის პედაგოგიური კურსების მოსაწყობათ, 2) მიეცეს კავშირს საკმაო თანხა სახელმძღვანელოების გამოსაცემათ და 3) გადაყენებულ იქნას სამოქალაქო სკოლების საბჭო დაუყოვნებლივ და მის ადგილზე დროებით (სანამ საბჭოს წევრთა ადგილზე ინსპექტორების არჩევნები მოხდებოდეს) დაინიშნოს სამი კაცი: თავმჯდომარეთ—დეკანოზი გ. ცაგარეიშვილი, მოლარეთ პ. ძეფარიშვილი, ხოლო საქმის მწარმოებლათ ნაუმ შავიანიძე. კომისარები თანაგრძნობით შეხვდენ დასავლეთ საქართველოს კავშირის შუამდგომლობას და აღუთქვეს 40.000 მანეთით დახმარება, ხოლო მესამე საკითხის შესახებ კომისარები იმ აზრისანი არიან, რომ სამრევლო სკოლები მთელი თავისი თანხით დაუყოვნებლივ უნდა გარდაეცეს სახალხო სკოლების მმართველობას.

✦ 23 მაისს მუშათა კომისიამ მოიწვია წარმომადგენლები ხრეცხავთა და სამრეცხველოს პატრონთა, რომ გადაეცვას ბოლო მოუღონ. კომისიის წევრებმა დაადგინეს საქმე გადაეცენ ცენტრალურ მომრიგებელ კამერას. ორივე მხრის წარმომადგენლები ამ გადაწყვეტილებას დაეთანხმენ.

✦ 23 მაისს შესდგა კრება მღებართა და მხატვართა პროფესიონალურ კავშირის ორგანიზაციისა, წინასწარ შედგენილი წესდების განსახილავათ. ცოტაოდენი შესწორებით წესდება მიიღეს.

✦ მუშათა უბნებში უკვე დაიწყეს მზადება საქალაქო არჩევნებისთვის.

✦ **შემოწირულება.** თამბაქოს ქარხნის აქციონერ საზოგადოების „მირის" მომუშავეებმა შესწირეს წითელ ლიტერატურისათვის 246 მ. 9 კ.

✦ **მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების** საბჭომ მიიღო შემდეგი დეპეშა: ერევანის გუბერნიის გლეხთა ყრილობამ ათასი დეპუტატებისგან შემდგარმა, რომელშიც შედიან, თათრების, სომხების, რუსების, აისორების და ქურთების წარმომადგენლები, გახსნა რა თავისი კრება—მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, მუშათა და ჯ.-კაცთა დეპუტატებს და დარწმუნებულია, რომ 19 ივნისის საერთო გლეხთა ყრილობაზე, შეიქმნება ახალი რევოლიუციური ორგანო თავისუფლების დასაცველათ და რევოლიუციის გასაღრმავებლათ გამზადებული.

✦ რადგან თფილისის სადგურზე უწესოებას ბოლო არ ეღება მუშათა და ჯ.-კაცთა დეპუტატების აღმასრულებელმა კომიტეტმა საჭიროთ სცნო სადგურზე კომისარი დაინიშნოს. თავის მხრივ აღმასრულებელი კომიტეტი წინადადებას იძლევა დანიშნულ იქნას მოქალაქე ილია გრიგორის ძე ქიქოძე.

✦ მივიღეთ შემდეგი დეპეშა:—„კომისიამ რომელსაც უნდა დაერიგებია ფული ჯულფაბაქოს რკინის გზის მუშებისათვის და რომელიც არჩეული იყო იმავე გზის მოსამსახურეთა საორგანიზაციო სიეზდის მიერ—ყურადღება არ მიაქცია ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის რჩევას ფულის დარიგების წესის შეცვლის შესახებ და კატეგორიულათ უარი განაცხადა ამაზე. ამის გამო ადგილი ჰქონდა პროვოკაციას და 18 მაისს მოჰკლეს ორი მუშა, დასჭრეს სამი. ნუთუ თავისუფალ რუსეთში შესაძლებელია მუშების წინააღმდეგ იარაღის ხმარება. ამას უნდა მიექცეს შესაფერისი ყურადღება. იოსებ ყაჭეიშვილი.

✦ 23 მაისს შესდგა კრება მომრიგებელ კამერისა იმ კონფლიქტის გამოსარკვევათ, რომელიც მოხდა ტრამვაიზე მომუშავეთა და ქალაქის საბჭოს შორის. მუშები თხოულობენ დამატებითი სამუშაო ქირას (8 საათის სამუშაოს გარდა), ქალაქის საბჭო ამათ პრინციპიალურათ დაეთანხმა, მაგრამ წინადადება შეიტანა ეს დამატებითი სამუშაო ქირა გაზომილ იქნას მათი ნამდვილი ჯამაგირის კვალობაზე და არა იმ ჯამაგირის კვალობაზე, რასაც ახლა ისინი იღებენ ომის გამო. მუშები კი თხოულობდენ, რომ მთელი ჯამაგირი ყოფილიყო მიღებული მხედველობაში. მომრიგებელმა კამერამ სამართლიანად სცნო მუშების მოთხოვნილება და დაადგინა: დაკმაყოფილებულ იქნეს მუშებიო.

✦ **ახალი წიგნები.** დაიბეჭდა და იყიდება კანტორა „განათლებაში" ამავე კანტორის გამოცემა: Что такое рабочая партія, ფასი 15 კაპ. ეს წიგნი ამ დღეებში გამოვა ქართულ ენაზე.

✦ კვირას, 21 მაის თფილისში დიდი მანიფესტაციები გაიმართა. მანიფესტაციებში ყველა ორგანიზაციები იღებდენ მონაწილეობას. მიტინგზე ლაპარაკობდნენ უმეტეს ნაწილად ს.-დ. ორატორები. გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: ქ. თფილისის მოქალაქენი ენერგიულ პროტესტს უცხადებენ ამხანაგ ფრიც ადლერის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის გამო, ავსტრიის მთავრობის წინააღმდეგ ფრიც ადლერი პირველი მებრძოლი იყო ომის წინააღმდეგ დ მთელი ერის მუშების სოლიდარობის მომხრე. ავსტრიის იმპერიალისტურმა მთავრობამ მოინდომა შური იძია და თავის მოსყიდული მოსამართლეებით სახრჩობელაზე გზავნის მის მოწინააღმდეგეს. რუსეთის რევოლიუციური დემოკრატია სალამს უძღვნის ავსტრიის დემოკრატ., რომელსაც სურს იმპერიალისტური წონობა დ ომის ლიკვიდაცია მოახდინოს. რუსეთის რევოლიუციური დემოკრატია მოუწოდებს ავსტრიის პროლეტარიატს მთელი ქვეყნის პროლეტარიატთან ერთად ენერგიულათ იბრძოლოს იმპერიალისტური კლასების დასამხობათ, ომის გასათავებლათ და სოციალიზმის გასამარჯვებლათ. ძირს სიკვდილით დასჯა! გაუმარჯოს ფრიდრიხ ადლერს! გაუმარჯოს მუშათა საერთაშორისო სოლიდარობას! გაუმარჯოს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს და ეროვნულ თვითგამორკვევას.

✦ **ამ დღეებში ირკუტსკის გუბერნიიდან** მრავალი ჩამოვიდენ თფილისში ამნისტიით განთავისუფლებული პოლიტიკურები. ბევრი მათგანი პროვინციაში წავიდა.

✦ **თფილისის კომიტეტს** რ. ს. დ. მ. პ. ბიუროს ვლადიმერ იაკობის ძე როხლინმა ასი მანეთი შემოსწირა პარტიულ ლიტერატურის გამოსაცემ ფონდისათვის.

✦ **კანტორა შინაური მოსამსახურეებისა** იმყოფება პეტრე დიდის ქუჩაზე № 18. ტელეფონის № 13—38. კანტორა ღიაა დილის 11 ს.—3 ს., საღამოს 7 ს.—9 საათ.

✦ **ჩხრეკა და სროლა.** 18 მაისს ქუთაისში შემდეგი ამბავი მოხდა: ჯარის კაცთა საბჭოს წევრს ამხ. გოლდმანს ცნობები მიუღო, რომ ქალაქში ჩამოსულა სომხები და მაჰმადიანები, რომლებიც იარაღს იძენენ ადგილობრივ მცხოვრებთაგან და ჯარისკაცებისაგან. გოლდმანი მაშინვე შეუდგა საქმეს და წინადადება მისცა საბჭოსაგან ნდობით აღჭურვილ უფროს ჯარის კაცს, რომ წაეყვანა ამხანაგები იმ ბინების გასაჩხრეკათ, სადაც იარაღის მყიდველები იმყოფებოდენ. პირველად გაჩხრიკეს სასტუმრო „ერმიტაჟი", ამ დროს მეორე მახლობელ სასტუმროდან „ევროპადან" ვიღაცეებმა [illegible] რასაც ჯარისკაცებმა [illegible] უპასუხეს. რის შემდეგ უცნობნი ბალახვანის ქუჩით სადღაც მიიმალენ: საინტერესოა ის, რომ ერთ და იმავე დროს რევოლვერების სროლა ხდებოდა ქალაქის სხვადასხვა ადგილებში: ბაღში, თეთრ ხიდთან და სხვა. გაჩხრიკეს სასტუმრო „ევროპაც" და „გრანდ-ოტელი". აღმოაჩინეს რევოლვერები სხვადასხვა სისტემის და აუარებელი პატრონები. დააპატიმრეს ათამდე იარაღის მყიდველები.

✦ **ქუთაისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს** დროებითი გამგე კომიტეტი აცხადებს ქუთაისის მცხოვრებთა, ამხანაგ მუშებისა და ჯარისკაცთა საყურადღებოთ, რომ თავისუფალ მოქალაქეთა ჩხრეკა და დატუსაღება საბჭოს გადაწყვეტილებით ევალებათ მხოლოდ მილიციის და საბჭოს დროებით გამგე კომიტეტის წევრებს—მილიციის უფროსი და ან დროებით გამგე კომიტეტის ორდერით. ამასთანავე კომიტეტი თხოვს ამხანაგ ჯარისკაცებს მშვიდობიანობისა და წესიერების დაცვა და პირობების ხელშეუხებლობის შეზღუდვას დიდი სიფრთხილით მოეკიდონ და ერიდონ თავისუფალ მოქალაქის დროებით დატუსაღებასაც კი. ამას თხოულობს რევოლიუციის და თავისუფლების ინტერესები.

✦ **ახალი წიგნი.** იბეჭდება და ამ ორ-სამ დღეში გამოვა ქართულ ენაზე ვიქტორ სერგენიკოვის წიგნაკი: „რა არის დამფუძნებელი კრება", შემდეგი შინაარსის: 1) რა მისცა ხალხს რევოლიუციამ, 2) რა კითხვები უნდა გადასწყვიტოს დამფუძნებელმა კრებამ, 3) როგორ ხდება არჩევნები დამფუძნებელ კრებაზე, 4) ვის აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, 5) ვინ შეიძლება ავირჩიოთ, 6) როგორ უნდა ვემზადოთ დამფუძნებელ კრებისათვის. ვთხოვთ პროვინციელ ამხანაგებს საჩქაროთ გვაცნობონ: რამდენი ეგზემპლიარი იქნება მათთვის საჭირო. მისამართი: Кутаисъ, Бюро печатнаго дѣла. ანდა გაზეთ „სოციალდემოკრატი"-ს რედაქციაში.

✦ **სახალხო თეატრი.** დღეს საღამოს სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრის მიერ ას. ცაგარლის გარდაცვალებიდან 15 წ. ხსოვნის აღსანიშნავათ გაიმართება საღამო. შ. დადიანი იტყვის მოკლე სიტყვას ა. ცაგარელზე. დადგმული იქნება ცოცხალი სურათები. წარმოდგენილი იქნება მისივე პიესა, „რაც გინახავს ველარ ნახავ". დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათ. ადგილების ფასი 1 მ. 49 კ.—20 კ—მდე.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, 25 მაისს, შედგება მეოთხე რაიონის მოქალაქეთა კრება ვერაზე, მე 6 ვაჟების გიმნაზიაში, საღამოს 5 ს. თემა: დამფუძნებელი კრება.

— დღეს, 25 მაისს, საღამოს 6 საათზე შესდგება ნაძალადევის მოქალაქეთა კრება ნაძალადევის თეატრში. თემა: აგრარული საკითხი.

— დღეს, 25 მაისს, პროპაგანდისტების კურსების სემინარიაში ალიხანიანი წაიკითხავს მოხსენებას ნაციონალური კითხვის შესახებ. კრება დანიშნულია მესამე საქალებო გიმნაზიაში საღამოს 6 საათზე.

# პროვინციის ქრონიკა.

**დ. ხაშური.** ხაშურის რაიონის მუშათა დეპუტატების საბჭომ ჩამოართვა სტამბა ადგილობრივ სოც. ფედერალისტების ორგანიზაციას თავის საჭიროებისთვის. ეს სტამბა ეკუთვნის იოსებ ყაჭეიშვილს და იჯარით აიღეს ფედერალისტებმა. დღიდან სტამბის ფედერალისტების ხელში გადასვლისა, სტამბა უმოქმედოთ იყო. მუშათა საბჭომ რამდენჯერმე მისცა მათ წინადადება აემუშავებინათ სტამბა და რადგანაც ეს ვერ შეასრულეს, საბჭომ სტამბა ჩამოართვა და დახარჯული ფულიც გაუნაღდა ფედერალისტებს.

**სოფ. ქვიშხეთი.** სოფ. ქვიშხეთის მცხოვრებმა გზის დარაჯმა გიორგი გეგიტაშვილმა რევოლვერით დაჰკრა მხარში სოფელ დვირის მცხოვრები გიორგი პაპიძე. გეგიტაშვილი ხაშურის რაიონის აღმ. კომიტეტის განკარგულებით გადაეცა სურამის გამომძიებელს.

**ქართლი.** სოც. დემ. მუშათა პარტიის ქართლის ორგანიზაციების ინიციატივით მოეწყო ყველგან გლეხთა დეპუტატების საბჭოები.

**ჭიათურა.** კვირას 21 მაისს მოხდა ვაჭარნოქართა შეერთებული კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ვაჭ. მ. გალუსტოვი. კრების საგანს შეადგენდა ნოქრების მოთხოვნილების განხილვა. მოთხოვნილება, მცირე შესწორებით, მიიღეს ვაჭრებმა.

— ამავე დღეს ჭიათურის თეატრში, იმხნელის ასულებმა გამართეს ლიტერატურულ მუსიკალური საღამო, საღამოს ხალხი ბლომათ დასწრო.

**ოზურგეთი.** აქ შესდგა პროპაგანდისტთა კურსები გიორგი შილაკაძის და ბ. ლლონტის ხელმძღვანელობით. ჯერ-ჯერობით საქმე საასურველათ მიდის. პირველი მოხსენება გააკეთა ამხ. გ. შილაკაძემ და ვ. ლლონტმა. ლექციების თემები უკვე დაყოფილია. ამ დღეებში გ. შილაკაძე წაიკითხავს შემდეგ თემაზე: „კლასთა ბრძოლა და სოციალიზმი".

— ამ დღეებში აქ დაატუსაღეს ექვთიმე ჩხატარაიშვილი.

— იზურგეთში ძლიერ სიძვირეა.

— ოზურგეთის ნოქრები მოთხოვნილებისამებრ 8 საათს მუშაობენ დღეში.

— გურიაში ორი კვირაა ცუდი ამინდებია, ხშირად წვიმს.

**ლეხ. ონოღიის საზოგადოება** (სენაკის მაზრა). ძველი რეჟიმის დროს აქაური გლეხობა საშინელ სივიწროვეს განიცდიდა. ამ მხრივ განსაკუთრებით სიმკაცრეს იჩენდა უკვე ცნობილი ვაჟბატონი მამასახლისი გიორგი შავდია. მაგრამ დრო შებრუნდა და ხალხმა წყნარათ ამოისუნთქა, იფიქრა, ახლა მაინც გვეღირსება სამართლიანობაო, მაგრამ ისევ ბნელი ძალების შემწეობით იმედი უცრუვდებათ. საზოგადოების კომისარის დამქრელი, ბაკუ ხაინდრავა, რომელიც დაჭერილი იყო და გაგზავნილი სენაკში, ეხლა გვესტუმრა. ყველამ ვიცით რა სიკეთეს მოგვიტანს ზემოხსენებული პირი.

— 11 მაისს, დილის 10 ს. ონოღიის სკოლის შენობაში გაიმართა კრება. მიზანი იყო სამკითხველოს დაარსება. ხალხი კრებას ბლომათ დაესწრო. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ონისიმე ქაჯაია. აირჩიეს გამგეობა და შეგროვდა ფული.

**სოფ. ახაშენი.** სოფ. ახაშენში, 15 მაისს ნაშუადღევისას დიდი სეტყვა იყო. განადგურდა ვენახები და ყანები. ნასეტყვი ვენახები ორ წლამდისაც ვეღარ გამოდგება.

**დ. ახალ-სენაკი.** პირველ მაისიდან მოყოლებული აუარებელმა დეზერტირებმა იწყო გამოსვლა სამეგრელოს მრავალ კუთხიდან, რომელიც ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, მოდიან თითქმის ყოველდღე, წითელი დროშებით.

# რუსეთის ამბები.

**მემამულეები მიწებს აგირავებენ.** რუსეთის დიდებულმა და მოულოდნელმა რევოლიუციამ მემამულეებს ძლიერ დაუფრთხო და თავსატეხი კითხვა დაუყენა წინ. ძველი რეჟიმის დამხობა, რასაკვირველია სასიამოვნოთ დარჩათ მათ, მაგრამ როცა მთელ რუსეთში გაისმა მონობისგან განთავისუფლებული და საუკუნოებით ტანჯულ გლეხების ზეჯითი ხმა „მიწა, მიწაო“ ეს კი არ ესიამოვნათ, საგონებელში ჩავარდენ. დღეს მათ არ იციან რა მოელით, მხოლოდ ერთში არიან დარწმუნებულნი: რევოლიუციამ მათ ბატონობასაც მოუღო ბოლო. და რომ სულ მშრალზე არ დარჩენ ერთ უკანასკნელ საშუალებისთვის მიუმართავთ,—რაც მიწა აბადიათ ბანკებში აგირავებენ. ბესარაბიის, ხერსონის და ტავრიჩესკი ბანკებში იქაურ მემამულეებს შეუტანიათ განცხადებები და რვა მილიონ მანეთს სესხს თხოულობენ მიწის გირაოთ. ბანკებს გირავნობის ფურცლები აღარ ყოფნით და იძულებული არიან მთელი სესხის მაგიერ 15% მისცენ.

— **ნაროდოვოლცების საქმე.** ეკატერინოსლავის საიდუმლო პოლიციის საქმეები განიხილა საგანგებო კომისიამ და იქ მხოლოდ 15 წლის საქმეები აღმოჩნდა. აღარ არის ჟელიაბოვის, ლოპატინის და სხვა ნაროდოვოლცების საქმე და არც იციან სად გადაჰკარგეს.

— **რეაქციონერ აფიცერთა შეთქმულობა.** გაზეთი „კიევსკაია მისლი“ შემდეგს გადმოგვცემს რეაქციონერ აფიცერთა შეთქმულობის შესახებ. ამ რამდენიმე დღის წინათ ღამის 3 ს. კრეშჩატიკზე ვიღაც აფიცერმა დაიჭირა გამვლელი. დაჭერილს ეგონა, რომ მას მძარცველები დაეცენ დ ყვირილი მორთო. აფიცერმა პირზე ხელი დააფარა დ ვიღაცას ხმამაღლა დაუძახა. ამ დაძახებაზე უცბათ საიდგანღაც გაჩნდა 15 აფიცერი, გამვლელს ხელი სტაცეს, ასწიეს, იქვე ახლო სარდაფში ჩაიყვანეს და დაუწყეს გამოკითხვა. სარდაფში საშინელი ბოლი იდგა და როგორც მორთულობა ამტკიცებდა, სკამები და მაგიდა, იქ დიდი კრება უნდა ყოფილიყოს. როგორც დაჭერილმა გაიგო მათი სიტყვებიდან, რომ მას აბრალებენ ძველი რეჟიმის მიმდევართა წინაამდეგ ჯაშუშობას. როცა აფიცრები დარწმუნდენ, რომ უბრალო გამვლელი დაეჭირათ ბოდიში მოიხადეს და გაუშვეს. თანაც თავი მით იმართლეს, რომ ვითომ ის მძარცველი ეგონათ, რომელმაც ამ რამდენიმე დღის წინათ ერთ იმათგანს ოქროს საათი მოჰპარა. დაჭერილი გაანთავისუფლეს და ის მაშინვე პირდაპირ მილიციონერებთან მივიდა და ყველაფერი უთხრა როგორც იყო. სარდაფს ხელათ ალყა შემოარტყეს მილიციონერებმა, მაგრამ იქ აღარავინ იყო. იქ ნაპოვნ ქაღალდის ნაგლეჯიდან გამოირკვა, რომ კარგი ორგანიზაცია ჰქონიათ რეაქციონერ აფიცრებს. მაშინვე სასტიკი ზომები მიიღეს სამხედრო დეპუტატებმა და რეაქციონერთა ბუნაგსაც მიაგნეს. დამნაშავენი დაატუსაღეს და შეთქმულებასაც ხელათ ბოლო მოუღეს.

# კავკასიის მუშათა და გლეხთა დეპუტატების სიეზდი.

(მეორე დღე, 22 მაისი.)

დილის სხდომას თავმჯდომრეობს ნოე ჟორდანია. გრძელდება მილოცვები.

თფილისის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სახელით სიეზდს ესალმება ამხ. ოხიპოვი, რომელიც ამბობს, რომ ჯარი დაიცავს რევოლიუციას, თუ მიაწვდით მას პურსა და იარაღს, ამისთვის საჭიროა თვით თქვენი შეკავშირება და ორგანიზაციულათ გამოსვლა, ყოველგვარი ძალადობა და მტაცებლობა უნდა უარყოფილ იქნას და მთავარი კითხვების გადაჭრა მიენდოს დამფუძნებელ კრებას.

„გოლოს ტრუდა“-ს სახელით სიეზდს ესალმება **ალშიბაია**, რომელიც სიამოვნებას გამოსთქვამს მუშებისა და გლეხების გაერთიანების გამო, რაც თავდებია რევოლიუციის გამარჯვებისა.

ამხ. **მგელაძე** ესალმება სიეზდს მასწავლებელთა სიეზდის ს.-დემოკრატიულ **ჯგუფის** სახელით და აღნიშნავს, რომ მუშათა კლასი მუდამ ავანგარდი იყო გამათავისუფლებელ მოძრაობისა და მასწავლებლობა, რომელიც გახდა მისი მოწაფე, გამოსთქვამს სურვილს, რომ მუშებსა და გლეხობას შემდეგშიაც ეჭიროს ხელმძღვანელი როლიო. სიეზდს კი უსურვებს თავის მოქმედებას საფუძვლათ დაუდვას ცხოვრების მიერ შექმნილი ობიექტიური პირობები.

მუშათა პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ ბიუროს სახელით სიეზდს ესალმება **დარჩია**. ორატორი აღნიშნავს, რომ სიეზდმა უნდა გადასჭრას ის ეთი საყურადღებო კითხვები, როგორიც არის მუშათა, აგრარული, ომისა და ზავის, ნაციონალური და სხვ. კითხვები, რისთვისაც საჭიროა მჭიდროთ შეკავშირება. ნაციონალურ შუღლს მუშათა შორის არ აქვს ადგილი, მე, როგორც პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენელი ვამოწმებ ამას და იმედია, რომ გლეხობაც თავიდან აიცილებს ამ ბოროტებასო.

**ამხ. ივ. მაისურაძე** (ტურა) გარე კახეთის გლეხობის სახელით ესალმება სიეზდს. პირველად ულოცავს მუშებს, რომ მათთან ერთად დღეს გლეხებიც იბრძვიან, ესალმება ამ გაერთიანებას და შემდეგ ჯარს და უსურვებს სიეზდს ნაყოფიერ მუშაობას.

მ ტათ მგრძნობიარე სიტყვას ამბობს გლეხი **ივ. კარტიშვილი**, რომელიც ქართლელ გლეხების სახელით ესალმება სიეზდს. მივესალმები პროლეტარიატის ხელმძღვანელებს, —ამბობს ორატორი—რომლებმაც გლეხობასაც მოუტანეს თავისუფლება. ეროვნულ შუღლს, რომელიც დაუძინებელი მტერია თავისუფლებისა და დაბეჩავებული ხალხისა, პროლეტარიატმა, რომელიც დღესაც ჩვენი ავანგარდია, ძმობა-ერთობის დროშა დაუპირდაპირა და ჩვენც მისი დროშის ქვეშ უნდა შემოვეკრებით. სხვადასხვა ერთა მშრომელ ნაწილს არაფერი გვაქვს ერთმანეთში გასაყოფი და ვინც მოგვიწოდებს განცალკევებისაკენ, იგი ჩვენი მტერია და როგორც ასეთს, უნდა ვებრძოლოთ მთელი ძალღონით. ორატორი იგონებს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემულ გმირებს, მეორე სახ. დუმის დეპუტატებს არჩილ ჯაფარიძეს, სევერიანე ჯუღელს და ჰელა ლომთათიძეს და მოუწოდებს სიეზდს ფეხზე ადგომით პატივი სცენ მათ წმინდა ხსოვნას, რაც შესრულებულ იქმნა. დასასრულ, ორატორი ილაშქრებს ს.-ფედერალისტანთაძის წინააღმდეგ და მოუწოდებს მუშებსა და გლეხებს რუსეთის დემოკრატიასთან ერთად სვლას, მასთან სიკვდილს.

დუშეთის მაზრის გლეხობის სახელით სიეზდს გრძნობით სავსე სიტყვით ესალმება გლეხი **ტატე შუშიაშვილი**. რა ბედნიერი ვართ, რომ ჩვენი ბელადის, ჭადარა მთის (ნოე ჟორდანიას. ვ. ა.) გვერდით ვდგევართ! 27 თებერვალს შექმნილ ემბაზში,—განაგრძობს ორატორი,—მოინათლა ყველა: რუსი, თათარი, ქართველი, სომეხი და სხ. და იმედია შემდეგში ერთად განვაგრძობთ ბრძოლას.

ამხ. **პავლე წულაია** ესალმება სიეზდს ამიერ კავკასიის რკინის გზათა მუშებისა და მოსამსახურეების ცენტრალურ კომიტეტის სახელით და ამბობს, რომ რევოლიუციონურ დემოკრატიას აქვს დაკისრებული ისტორიული მისსია და ის არ შედრკება არავითარ დაბრკოლებათა წინაშე. დღეს, არსებულ პირობებისა და პოლიტიკური კონიუნკტურის გამო ჩვენ არ ვსარგებლობთ შემთხვევით და არ ვაყენებთ ყველა ჩვენს მოთხოვნილებებს. 8 საათის სამუშაო დღეს, მაგ. ჩვენ მორიგების გზით ვანხორციელებთ. დადგება დრო, ჩამოვარდება საპატიო ზავი, შეიცვლება პირობები, ჯარი დაუბრუნდება ჩვენს რაზმებს და მაშინ გავსწევთ საბოლოო მიზნისაკენ.

ამით დასრულდა მილოცვები.

საღამოს სხდომაზე მოკლე მოხსენება გააკეთა სამანდატო კომისიამ, რის შემდეგ, თანახმათ დადგენილებისა უნდა შედგომოდენ პრეზიდიუმის არჩევას. მაგრამ ამ დროს, მიუხედავათ იმისა, რომ ს. რ—ებისა და მათი ორგანო „გოლოს ტრუდას“ სახელით უკვე მიესალმენ სიეზდს, როგორც მუშათა და გლეხთა დეპუტატების სიეზდს—ესერებს მაინც შემოაქვთ წინადადება შეცვლილ იქნას სიეზდის სახელწოდება. რადგანაც სიეზდზე არ არის წარმოდგენილი ჩრდილო კავკასიის გლეხობა, მოითხოვენ დაერქვას მას მუშათა დეპუტატების სიეზდი და დამსწრე გლეხებს მიეცეს მხოლოდ სათათბირო ხმა, რადგანაც მალე მოწვეული იქნება გლეხთა დეპუტატების სიეზდი და იქ გამოცხადდებიან გლეხების წარმომადგენლებიო. სიეზდის დიდი უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ მოწვეული იყო მუშათა და გლეხთა დეპუტატების სიეზდი, ნაწილი გლეხებისა ჩამოვიდა, მაგრამ არავითარი გარანტია არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ სხვებიც არ ჩამოვლენ. ამისთვის სიეზდის სახელის გამოცვლაზე ლაპარაკი უადგილო და უსაბუთოა.

გადაწყდა სიეზდის სახელწოდება გამოირკვეს მაშინ, როცა სამანდატო კომისია წარმოადგენს გარკვეულ, საბოლოო მასალას სიეზდის შემადგენლობის შესახებ.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 9 კაცი. 6 ს. დ. და 3 ს.-რ. თავმჯდომარეთ კენჭის ყრელათ აირჩიეს **ნოე ჟორდანია**. მის უფროს ამხანაგათ **გრიგოლ გიორგაძე**. საპატიო თავმჯდომარეთ აირჩიეს დეპუტატი **აკაკი ჩხენკელი, მიხაილიჩენკო, ხილიბისტრო ჯიბლაძე** და **მოხუცი მოიხეენკო**, რომელიც 40 წლის განმავლობაში მუშაობს მუშათა კლასის საკეთილდღეოთ, რამდენჯერმე გადასახლებული ყოფილა ციმბირში და მრავალი ტანჯვა წვალება აუტანია. სიეზდი ოვაციებს უმართავს ჭადარა მებრძოლს.

დასასრულ, სიეზდი დაიყო შემდეგ სექციებათ.

1. სასურსათო სექცია—მომხს. შემიტოვი და ქ. ნინიძე.
2. სატრანსპორტო სექცია—ორგან. ვ. წულაია.
3. მიწის საკითხი—მომხ. აიოლა.
4. ნაციონალური საკითხი—მომხ გრ. გიორგაძე.
5. მუშათა საკითხი—მომხ. ნოე რამიშვილი.
6. სასამართლოს სექცია—მომხ. გიზო ანჯაფარიძე.
7. საერობო და ქალაქის თვითმართველობა—მომხ. კირილე ნინიძე.
8. საორგანიზაციო სექცია—მომხ. ნ. იმნაიშვილი. სექციებში მუშაობა სწარმოებს საღამოობით.

გარდა ამ კითხვებისა დღიურ წესრიგში შედის:

1. მიმდინარე მომენტი—მომხ. დ. პოპოვი.
2. კოალიციონური სამინისტრო—მომხ. ნოე ჟორდანია.
3. ომი და ზავი—მომხ. აკაკი ჩხენკელი.

(მესამე დღე, 23 მაისი).

სხდომა გახსნა **ნოე ჟორდანიამ**.

თავმჯდომარეობს გრ. გიორგაძე. თანამედროვე მომენტზე მოხსენებას აკეთებს დ. **პოპოვი**, რომელიც უპირველეს ყოვლისა ესალმება სიეზდს თფილისის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სახელით. რევოლიუციის მამოძრავებელ ძალათ მომხსენებელი აღიარებს პროლეტარიატს, გლეხებს და ბურჟუაზიის პროგრესიულ ნაწილს. თითქმის მთელი ხალხის მობილიზაციის გამო ჯარი გამოხატავს ამ სამ მთავარ ძალას და ამისთვის იგი თავიდანვე სათავეში მოექცა რევოლიუციას... ორატორი ამტკიცებს, რომ ბურჟუაზია მდგომარეობით იძულებულია მხარი დაუჭიროს რევოლიუციას, ვინაიდან მისთვისაც აუტანელი იყო ძველი, ნახევრათ ფეოდალური წყობილება. ბურჟუაზიას შეუძლია განსაზღვრულ მომენტამდე იაროს ჩვენთან, ამით ჩვენ უნდა ვისარგებლოთ და გამოვიყენოთ ბურჟუაზიის ძალა... არ უნდა გავთიშოთ მდგომარეობით გაერთიანებული ძალები ძალმომრეობისა და მტაცებლობის გზაზე დადგომით. ეს საზიანო იქნება რევოლიუციისათვის, რასაც ამტკიცებს 905 წლის მაგალითი... ყველა კითხვები უნდა გადაჭრას მომრიგებელი კამერების საშუალებით.. ამ ტაქტიკის წყალობით ასე უმტკივნეულოთ შემოვიღეთ ჩვენ აქ, კავკასიაში 8 საათის სამუშაო დღე და გავადიდეთ ხელფასი. ამ მეტოდითვე მოვაწესრიგებთ ჩვენ ნაციონალურ საკითხსაც... მომხსენებელი წინააღმდეგია ჯარში პოლიტიკურ-ნაციონალურ საფუძველზე პირობების მოწყობისა და მოითხოვს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა ორგაიზაციების გაერთიანებას საერთო აღმასრულებელ კომიტეტის ხელმძღვანელობით.

**ვოლიკი** (ბოლშ.) ბურჟუაზია რევოლიუციონურია იმდენათ, რამდენათ ეს მისთვისაა სასარგებლო. ის გვიჭერდა მხარს მხოლოდ რევოლიუციის პირველ საფეხურზე. მაგრამ, როცა რიგი მიდგა ეკონომიურ მოთხოვნილებათა განხორციელებაზე, ის მოწინააღმდეგეთა ბანაკში მოექცა და მოინდომა ჯარსა და მუშებს შორის შუღლის ჩამოგდება. ასე მოიქცა ის 8 საათის სამუშაო დღის შემოღების გამო, ასე მოიქცა 18 აპრილს გამოცემულ ნოტით და სხ. შეკავშირებული მუშები და გლეხობა ყოველგვარ კავშირს გასწყვეტს ასეთ კონტრ-რევოლიუციონურ ძალასთან და ეს საჭიროცაა რევოლიუციის გასაღრმავებლათ და ხალხის სრული ბატონობის დასამყარებლათ... ბურჟუაზია სარგებლობს ომით, მან შექმნა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები თავის მიზნების განსახორციელებლათ... საჭიროა მალე მოეღოს ომს ბოლო, რომ ჩქარი ნაბიჯით გავსწიოთ წინ სოციალიზმისაკენ...

ამხ. **დ. ხართიშვილი**. (მენშ. ამბობს, რომ ბურჟუაზია დღეს იძულებულია ჩვენთან ერთათ იაროს, თუმცა ცალი ფეხი უკან რჩება, რადგანაც სოციალური რევოლიუციის ეშინია, მაგრამ სანამ იგი ჩვენს წინააღმდეგ ცხადათ არ ამხედრებულა და ბრძოლა არ აუტეხია, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მისი ძალა... მეუმრავლესეთა ტაქტიკა რომ მიგვეღო დუმაში არ გვეყოლებოდა ჩხეიძე, სკობოლევი, წერეთელი და სხ., რომლებიც დღეს სათავეში მოექცენ რევოლიუციას...

**აიოლა** (მენშ.) დღევანდელი რევოლიუცია —ბურჟუაზიული რევოლიუციაა ფეოდალურ ნაშთების წინააღმდეგ მიმართული, როცა მას დავასრულებთ, მაშინ გავწყვეტთ კავშირს ბურჟუაზიასთან და გადავალთ სოციალურ რევოლიუციაში... დღეს საჭიროა რეაქციონერების განცალკევება, რომ ისინი სამუდამოთ დავამარცხოთ და შემდეგ შესაძლებელი იქნება კლასთა ბრძოლის გაჩაღება, როცა ჩვენ, მოსალოდნელია, გლეხობასაც კი ჩამოვშორდეთ...

ტერ-გაბრიელიანს მოყავს მაგალითები, და უნდა დაამტკიცოს, რომ ბურჟუაზია თავის კლასიურ მდგომარეობის გამო არ შეიძლება იყოს რევოლიუციონური და ვერასოდეს ვერ ივლის პროლეტარიატთან ერთათ... იმათ უნდოდათ განხეთქილება ჩამოეგდოთ ჯარსა და მუშებს შორის და მათთვის მხარის დაჭერა—დანაშაულია რევოლიუციის წინაშე...

**ვ. ჯუღელი.** ბურჟუაზიის რევოლიუციონერობა თვით „ბორბა“-მ უარყო... იგი რევოლიუციონური იყო ფეოდალებთა ბრძოლაში, მაგრამ წარსული საუკუნის მე-30 წლებიდან ჩნდება პროლეტარიატი და რამდენათ იგი იზრდება ბურჟუაზიის წინააღმდეგ, იმდენათ ბურჟუაზია რეაქციონური ხდება... ჩვენც მომხრე ვართ ერთობის, მაგრამ ჩვენ გვწამს ერთობა მხოლოდ რევოლიუციონურ ძალებისა და აქ კონტრ-რევოლიუციონურ ძალას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ჩვენ დიდი შეცდომა ჩავიდინეთ, როცა ძალაუფლება ნებაყოფლობით დავთმეთ.. დღეს ჩვენი მიზანია ფორმალურათაც ხელში ჩავიგდოთ ის უფლება, რომელიც ფაქტიურათ ჩვენს ხელშია... რამდენათ შეკავშირებული მუშათა კლასი, გლეხობა და ჯარი ივლის სწორ გზაზე, იმდენათ უფრო ძლიერი იქნება სხვა ქვეყნის დემოკრატიის გამოხმაურება, საიდანაც ჩვენ მივიღებთ სოციალურ რევოლიუციის გამოძახილს...

რადგანაც კამათში ორი მთავარი მიმართულება გამოისახა, გადაწყდა ილაპარაკოს თითო მიმართულების ორ-ორმა ორატორმა და ერთმა მუსულმანმა.

**ბოგდანოვი.** (ბოლშ.) ასახელებს ბურჟუაზიის კონტრ-რევოლიუციონურ ნაბიჯებს დღევანდელ რევოლიუციის დროს და ამბობს, რომ რიგში დგას სოციალური რევოლიუცია, როცა ბურჟუაზია აშაკარათ წამოვა ჩვენს წინააღმდეგო... არავითარ შეთანხმებას, არავითარ თანამგზავრებს ჩვენ არ ვსაჭიროებთ, რადგანაც ბურჟუაზიას პროლეტარიატი უნდა გამოიყენოს მხოლოდ შირმათ საკუთარ საქმეების მოსაგვარებლათ...

**აიოლა** აღნიშნავს, რომ რევოლიუციონერობა საქმიანობაში გამოიხატება და არა ლამაზ მყვირალა ფრაზებში. ბევრს ბოლშევიკები ანარქისტებათ მიაჩნდა, რადგანაც ისინი ქადაგებდენ მიწისა და სხ. თუმცა ორგანიზაციულათ, მაგრამ მაინც მტაცებლურის გზით ხელში ჩაგდებას. ლენინის განმარტებათა შემდეგ კი გამოირკვა, რომ არც ისე საშიშარნი ყოფილან ბოლშევიკები, როგორც გვეგონა. საჭიროა თვით ცხოვრების სინამდვილეს გაუწიოთ ანგარიში და აქედან ავაგოთ ჩვენი ტაქტიკა. ბოლშევიკებში კი მე მარტო თეორეტიკოსებს ვხედავ. სანამ ბურჟუაზია ებრძვის ცარიზმს, ის რევოლიუციონურია, ჩვენთან ბრძოლაში კი ის რეაქციონური ხდება, მაგრამ მაშინ ჩვენ უფრო რევოლიუციონერობას გამოვიჩენთ მასთან ბრძოლაში. დღეს ჩვენ ხელს არ ვიღებთ კლასობრივ ბრძოლაზე, მაგრამ სრულებითაც არა ვართ დაინტერესებული ბურჟუაზიის განცალკევებაში და საჭიროა მისი გამოყენება, რომ პროლეტარიატი მარტო არ დარჩეს და 1905 წლის მაგალითი არ განმეორდეს. ჩვენი მიზანი ჯერჯერობით უნდა განვახორციელოთ შეთანხმების გზით.

**ვ. ჯუღელი.** ჩვენც იმას ვამბობდით, რომ რევოლიუციონერობა პრაქტიკული ნაბიჯით განისაზღვრება და ამისათვის არიან სწორეთ ბოლშევიკები რევოლიუციონერები. ჩვენ უნდა შევაკავშიროთ მარტო ჩვენი ძალები, არ შეიძლება აქ სხვა ძალის შემოერთება და მით საერთო ძალის მნიშვნელობის გაზვიადება. ბურჟუაზია ეკონომიურათ ჩვენი მოწინააღმდეგეა, მაშასადამე მოწინააღმდეგეა პოლიტიკურათაც და არ შეუძლია მას იყოს რევოლიუციონური. ის ყოველთვის ეცდება ზურგიდან დაგვეცეს, და აი ამისთვის არის საჭირო ჩვენი შეკავშირება. ჩვენ უნდა მოვქმედებდეთ დამოუკიდებლათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბურჟუაზია, რომელსაც ჩვენი ეშინია და ჩვენს კარნახს ემორჩილება, არ წამოვა ჩვენთან. ჩვენ უნდა ჩავიგდოთ რევოლიუციის ბედი ხელში, შეთანხმების გზა რევოლიუციის დამღუპველია.

დიდი აღფრთოვანებით ხვდება სიეზდი მუსულმან გლეხ **ხადიგ ბილიოღლის** გამოსვლას. ჩვენი დრო—ამბობს ორატორი—სიბნელით იყო მოცული, თქვენ განათლებული ხართ და გთხოვთ ნუ იქნება ქიშპობა, ნუ წავახდენთ საერთო საქმეს, ყველას დაუჭიროთ მხარი, ვინც ჩვენი მომხრეა. ორატორი იგონებს ბატონ-ყმობას, იმ ტანჯვასა და დამცირებას, რომელსაც იტანდნენ ფეოდალებისაგან და ამბობს, თუ ბურჟუაზია ებრძვის ბატონ-ყმობის ნაშთებს, ჩვენ მას უნდა დაუჭიროთ მხარიო. ორატორი სიმწარით იგონებს აგრეთვე 1905 წ. მომხდარ სომეხ-თათართა შორის სამწუხარო შეტაკებას და ამბობს, ქართველი, სომეხი, თათარი—ყველა ერთი ვართ, გთხოვთ ნუ დაგვყოფთ, ერთათ ვიბრძოლოთ და ერთად განვთავისუფლდეთო.

**რ. ჩიხლაძე.** ჩვენ არ ვამბობთ, რომ ბურჟუაზია ყოველთვის შეიძლება რევოლიუციონური იყოს. ეს პირობებზეა დამოკიდებული. ევროპის ბურჟუაზია დიდი ხანია გარეაქციონერდა, მაგრამ რუსეთში ობიექტიურ პირობების გამო ბურჟუაზიას კიდევ არ დაუკარგავს რევოლიუციონური სულის კვეთება. დღეს არ შეიძლება იგი იყოს კონტრ-რევოლიუციონური, ვინაიდან ფეოდალიზმის ნანგრევებზე შენდება ბურჟუაზიული წყობილება. შესაძლებელია დღეს მასთან თანამგზავრობა, რაც სრულებითაც არ ნიშნავს, ვითომ ის მუდამ რევოლიუციონური იქნება, ის მხოლოდ განსაზღვრულ მომენტამდე [illegible] ხელოვნურათ არ უნდა შევქმნათ პირობები ბურჟუაზიის ჩამოსაშორებლათ. დროა გამოვეთხოვოთ რევოლიუციონურ ოცნებას და მხარი დაუჭიროთ რევოლიუციონურ საქმეს.

კამათი დასრულდა, მომხსენებლის უკანასკნელი სიტყვა გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

ვ. ალათიშვილი

# კავკასიის მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა.

19 მაისი (დილის სხდომა).

კრებას თავმჯდომარეობს ი. პალმოვი. ს.-დემოკრატიული ფრაქციის მხრივ განცხადება შემოაქვს ამხ. კონიევს. ის ამბობს, რომ გუშინ მომხსენებელ ამხ. ლომთათიძეს თავმჯდომარე უკანონოდ მოექცა, როცა უკანასკნელი სიტყვა და თავისი რეზოლიუციის დასაბუთების უფლება წაართვა. აგრეთვე უკანონო თავმჯდომარის მოქმედება, როცა მან უარი უთხრა ამხ. ლომთათიძეს განცხადების შემოტანაზე. ამიტომ, ამნაირი ინციდენტის თავიდან ასაცილებლად ამხ. კონიევი წინადადებას იძლევა შევსებულ იქნას კრების მსვლელობის წესრიგი, რომელსაც უნდა დაემატოს რამოდენიმე მუხლი. ამასთან ამხ. კონიევი დასძენს, რომ თუ კრება ფრაქციის კანონიერ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებს, ფრაქცია იტოვებს თავისუფალ მოქმედების უფლებას. მცირე კამათის შემდეგ კრება მხოლოდ ერთს მუხლს აკმაყოფილებს.

ამის შემდეგ კრება შეუდგება რეზოლიუციის გამოტანას მომენტის შესახებ. წარმოდგენილია ერთი რეზოლიუცია ს. რევოლიუციონერი ჩემოდანოვისა. წინასწარ ჩემოდანოვი ხსნის იმ ნაწილს რეზოლიუციისა, სადაც ლაპარაკია ფედერატიულ რესპუბლიკაზე. ჩემოდანოვი აღიარებს, რომ ეს ნაწილი მისი მოხსენებას არ შეესაბამება. მაგრამ ამავე დროს ფედერატიული რესპუბლიკის მოთხოვნილებას ჩაუმატებს ფედერალისტი ალ. მდივანი. კენჭს უყრიან ამნაირად შეკეთებულ რეზოლიუციას და კრება იღებს მას ხმის უმეტესობით. ცოტა ხნის შემდეგ კრება სწყდება რამოდენიმე წუთით. ფრაქციები თათბირობენ. ნახევარი საათის შემდეგ კრება ისევ შეუდგა მუშაობას. კრებას თავმჯდომარეობს ბ-ნი ზანდუკელი. თავმჯდომარე აცხადებს, რომ საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარეს შემოაქვს წინადადება მიეცეს შესაფერისი ადგილი პრეზიდიუმში ს. დემოკრატიულ ფრაქციას. კრება ამ წინადადებას იღებს. ს.-დემოკრატები ამ კითხვის გადაწყვეტაში მონაწილეობას არ იღებენ. კრებამ გადაწყვიტა შვიდი ადგილი ს.-დემოკრატიული ფრაქციისთვის პრეზიდიუმში. ამის შემდეგ კრება გადაიდება საღამოსთვის.

**საღამოს სხდომა.**

კრება იხსნება რვა საათზე. თავმჯდომარეობს ი. პალმოვი. დღის წესრიგში სკოლის ნაციონალიზაციის საკითხია. ამ კითხვაზე მოხსენებებს აკეთებენ ბ. გ. ფერაძე, ღიღრანიანი, უზნაძე და იგნატიევი. პირველი სამნი ამ საკითხის პრინციპიალურ მხარეს ეხებიან, ხოლო უკანასკნელი პრაქტიკულს. იხსნება კამათი. პრინციპიალური მხარე ამ საკითხისა თითქმის ყველას გამორკვეულად მიაჩნია და ამიტომ ამაზე არ ლაპარაკობენ. უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ამ კითხვის პრაქტიკულ მხარეს. კრება გარკვეულ აზრს ვერ ადგება და ამიტომ სწყვეტს ეს საკითხი გადაეცეს კომისიას, რომელშიაც შევლენ ყველა ნაციის და პარტიის წარმომადგენლნი. ამით კრება თავდება. შემდეგი მორიგი კრება გადაიდო მეორე დღისთვის.

20 მაისი (დილის სხდომა).

კრება იხსნება დილის 11 საათზე. თავმჯდომარეობს იშკოვი. დღის წესრიგში სკოლის რეორგანიზაციის საკითხია. ამ საკითხის შესახებ მოხსენებას კითხულობენ: იონისიანი, კანარსკის ქალი და უზნაძე. მოხსენების შესახებ ბევრნი ლაპარაკობენ. ბოლოს კრება სწყვეტს ეს საკითხი გადაეცეს სექციებს საბოლოოდ გადასაწყვეტად. კრება დაიყო შემდეგ სექციებად: პირველ დაწყებითი სასწავლებლებისა, უმაღლესი პირველ დაწყებითი სკოლებისა, საშუალო სასწავლებლებისა, პროფესიონალური სასწავლებლებისა, ინსტიტუტში და სემინარიებში მომუშავე მასწავლებლებისა და ხელოვნებისა, ამის შემდეგ კრება ერთხმად ადგენს: დილდილობით საერთო კრება მოხდეს, საღამოობით კი სექციებისა. ამით კრება იხურება.

21 მაისი.

კრება იხსნება 11 ნახევარზე. კრებას თავმჯდომარეობს ნ. ცინცაძე. პრეზიდიუმს შემოაქვს წინადადება საერთო კრების შეწყვეტისა, ვინაიდან სექციებს მოშაობა არ გაუთავებიათ კრება ერთ ხმ რ იღებს. ამ დროს ს. დემოკრატიული ფრაქციის მხრით შედის შემდეგი წინადადება: დღეს დანიშნულია მანიფესტაცია ცნობილი დემოკრატიის ლიდერის ფ. ადლერის სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ. ამიტომ საჭიროა მასწავლებელთა ყრილობამ მიიღოს მონაწილეობა ამ საპროტესტო მანიფესტაციაში. მცირე კამათის შემდეგ კრება ერთხმათ ღებულობს ამ წინადადებას, ამავე კრებაზე გადაწყდა გაიგზავნოს სამი დელეგატი გლეხთა და მუშათა ყრილობაზე და მიესალმონ მათ მასწავლებელთა მხრივ. კრება ამ წინადადებას იღებს და გზავნის სამს დელეგატს. ამის შემდეგ კრება

იხურება და მთელი ყრილობა მარსელიოზის მღერით ერევნის მოედანზე მიემგზავრება. რამდენიმე ადგილას მასწავლებელთა მხრით სიტყვას ამბობენ და სასტიკ პროტესტს აცხადებენ ფ. ადლერისთვის სიკვდილით დასჯის განაჩენის წინააღმდეგ. მანიფესტაციის შემდეგ მასწავლებლები მიდიან სექციებში სამუშაოდ. პ. ხ—შვილი.

# სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

### ალავერდის ქარხანა.

აქ დაარსდა ს.-დ. მ. ორგანიზაცია. აირჩიეს ბიურო, რომლის თავმჯდომარეთ ამორჩეულია ლ. ჩხაიძე, მდივნათ ა. ბახშინოვი და ხაზინადრათ ილია ხაჩქევი. გრძელდება პარტიაში ჩაწერა. მუშები თანდათან ხალისით ეწერებიან. კვირაში სამჯერ ხდება კრება. ლ. ჩხაიძე აცნობს პარტიის პროგრამას და დღევანდელ მდგომარეობას. დაარსდა მუშათა კლუბი, ეწყობა პარტიული ბიბლიოთეკა-სამკითხველო. ჯერ-ჯერობით პარტიის წევრები ასს აღემატება. ლ—ო.

### ხოფ. ბაში.

11 მაისს მოხდა მუშათა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება. კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია ვარლამ მეძმარიაშვილი, მდივნათ მასწ. გრიგოლ ნაცვლიშვილი. კრებას ს. ს. ლ—მა გააცნო ამიერ-კავკასიის სოც. დემ. მუშათა პარტიის წესდების პროექტი და რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის პროგრამა.

მოხდა ორგანიზაციის არჩევნები, აირჩიეს ვარლამ მეძმარიაშვილი, მასწ. გრიგოლ ნაცვლიშვილი, ლავრენტი ტყეშელაშვილი, ბართლომე ტყეშელაშვილი, გოგუცა მეძმარიაშვილი, ვლადიმერ ეპიფ. ნაცვლიშვილი და ისაია ჩხეიძე. №.

### ხოფ. მუხიანი.

მუხიანის მთელ რაიონში ს.-დ. პარტიაში ამჟამად ჩაწერილია 247 წევრი. შემდგარია ექვსი პარტიული ორგანიზაცია.

### ხოფ. საყულია.

12 მაისს მოხდა სოც.-დემ. მუშათა პარტიის ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება. კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია მღ. ილია ჯინჭველაშვილი, მდივნათ მღ. პლატონ ჯინჭველაშვილი. კრებას ს. ს—ლმა გააცნო ამიერ კავკასიის სოც.-დემ. მუშათა პარტიის პროგრამა.

ორგანიზაციაში აირჩიეს: მღ. პლატონ ჯინჭველაშვილი, რაჟდენ ჯინჭველაშვილი, პორფილე ლომიძე, ათანას ლომიძე, სიმონ აბჟალაძე.

### მუხიანის რაიონი. ხოფ. ოფიშქვითი.

1 მაისს შედგა სოციალ-დემოკ. ორგანიზაციის წევრთა დამფუძნებელი კრება. წევრთ 3. გერ—ამ გააცნო ამიერ კავკასიის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის წესდების პროექტი და სოც. დ. პროგრამა. კრებას დაესწრო 31 მუშ. კრებამ აირჩია თავიანთ შორის დროებით კოლექტივი მღ. ილია ჯინჭველაშვილი, პარმენ გერსამია, ერმილე კეპულაძე, ერისტო ციბაძე და მიტროფანე ლიონიძე.

### ხოფ. ფარცხანაყანევი.

9 მაისს მოხდა სოც. დემ. ორგან. პარტიულ წევრთა დამფუძნებელი კრება. კრებამ აირჩია თავმჯდომარეთ ალექსი კიკვაძე და მდივნათ კოტე კვერნაძე. ს. სხი—ლმა გააცნო კრებას კავკასიის სოციალ დემოკრატიულთა მუშათა პარტიის წესდების პროექტი და პროგრამმა. შემდეგ მოხდა კოლექტივის დროებითი წევრთა არჩევნები. არჩეულ იქმნენ შემდეგი: კოტე კვერნაძე, ლავრენტი ნუცუბიძე, დავით ნუცუბიძე, მატრონა ფხაკაძე, ნადია აფრიდონიძე, დომენტი ნუცუბიძე და ალექსანდრე გელაზანია. კრებას დაესწრო 17 წევრი. კრების თავმჯდომარე ა. კიკვაძე. მდივანი კ. კვერნაძე.

### ხოფ. ეწერობა.

10 მაისს შესდგა სოც. დემ. მუშათა პარტიის წევრთა დამფუძნებელი კრება. კრებამ თავმჯდომარედ აირჩია არსენ ციბაძე, მდივნათ ივანე ნუცუბიძე. კრებას ს. ს. ლ—მა გააცნო ამიერ კავკასიის სოც. დემ. მუშათა პარტიის წესდების პროექტი და რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტიისა პროგრამმა. შემდეგ მოხდა ძირითადი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირების არჩევანი. არჩეულ იქმნენ: არსენ ციბაძე, ვარლამ სანიკიძე, პროკოპი კანდელაკი, ივ. ნუცუბიძე.

გიორგი ნუცუბიძე.

### თფილისი.

17 მაისს მოხდა მეოთხე რაიონის რ. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციის კრება. კრებამ დაადგინა: დაუყონებლივ გადაეცეს ამხ. მდივანს ყველა ჩაწერილ წევრების სიები, რომ მან შეიტანოს საალფავიტო წიგნში. მოუსმინოს ამხ. ბინიაშვილს, რომელიც საჭიროთ სთვლის ებრაელებში მუშაობის დაწყებას. პრეზიდიუმის სხდომები იქმნეს დანიშნული განსაზღვრულ დღეებში კვირაში ერთხელ. კრებამ საჭიროთ დაინახა მუშაობა დაიწყონ თათრებთა შორის. რაიონის დაყოფის შესახებ დაადგინეს არჩეული იქმნეს განსაკუთრებული კომისია, რომელიც კომიტეტთან ერთად შეიმუშავებს შესაფერ გეგმას და პირველ კრებაზე კოლექტივისა გააკეთონ მოხსენება, ფულები იქმნეს შეკრებილი, ჩეკებით. ამხანაგი ასათიანი რაიონის კლუბის მოწყობის შესახებ ლაპარაკობს. კლუბი მოეწყობა მეექვსე საქალო გიმნაზიაში. მდივანი ვარ. ატოევი.

# მუშათა ცხოვრება.

**თფილისი.** ტფილისში არსებობს ოთხი სამკერვალო, სადაც იკერება განსაკუთრებით კაბები. 1) მადამ ჟანი, 2) მადამ ვოლკოვი, 3) მადამ ფონე და 4) ივანოვი. ამ სამკერვალოებში მუშაობენ თითოში 20 მეტი მკერავი ქალი. ეს ფირმები ძველის ძველი ფირმებია და ტფილისის მთელი არისტოკრატიის ცოლები მაგათი მუშტრებია. გარდა იმისა, რომ მუშები აუტანელ პირობებში ჰყავთ და მათი შრომის ხელფასი სულ უმნიშვნელოა—ეს ქალბატონები ზაფხულობით ორსამ თვეს ჰკეტავენ სამკერვალოებს, მიბრძანდებიან სააგარაკოთ და ამ ხნის განმავლობაში მუშები უყურადღებოთ არიან მიტოვებული. და სწორეთ პროფესიონალურმა კავშირმაც უპირველესათ ამ სამკერვალოებს მიაქცია თავისი ყურადღება. მადამ ჟანთან გაატარეს ცხოვრებაში 8 ს. სამუშაო დრო და ხელფასის მომატება. მადამ ფონესთან 8 ს. სამუშაო და ხელფასის მომატება. ივანოვთანაც წადგენილია მოთხოვნილებანი. კაცების ტანისამოსის მკერავებთა შორის კრიჩევსკიმ მოუმატა ხელფასი თავის მუშებს. აგრეთვე ზაკროიშჩიკების ამხანაგობაში და კარაპეტოვთან მოამატებინეს ხელფასი. მაზუბლიანცთან გატარდა 8 ს. სამუშაო დრო და ხელფასის მომატება. მოთხოვნილება წარდგენილია აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებაში, თხოულობენ 8 ს. სამუშაოს და [illegible] მუშაობის ხელფასის მომატებით. მკერვალთა კავშირს შემოუერთდნენ მექუდე ქალები და კარსეტის მკერავები, შეერთებული კავშირი მკვიდრ ნიადაგზე სდგება და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში უფრო ენერგიულათ იმოქმედებს და თავის წევრებს დააკმაყოფილებს.

მკერვალი ნიკო.

**სამტრედია.** მოხდა რემონტის მუშების კრება. დღეს იმ პირების შესახებ, რომლებიც ვითომ მუშებათ იყვნენ ჩაწერილი, ფულს უწერდენ და მუშაობით კი არ მუშაობდენ. ზედმეტი მუშაობა ედებოდა ნამდვილ მუშებს. აღმოჩნდა ზედმეტათ გამოწერილი 48 მ., ეს ბოროტ მოქმედება დაედვა ბრალათ გზის ოსტატს და უფროსს მუშას ბიჭიკო შენგელიას. კრებამ ეს ფული ნახევარი შესწირა რკ. გზ. სამკითხველოს. მეორე ნახევარი გადადვა ბროშიურების შესაძენათ მუშებისათვის. გამოირკვა, რომ აულია ბიჭ. შენგელიას ქრთამათ ორი მუშისაგან 250 მანათი. ამ ფულიდან 150 მ. მასვე დაუბრუნებია 100 მ. კრებამ დაავალა დაუყონებლივ დაუბრუნოს მუშას ეს ფული. კრებამ აღძრა ამხ. კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა, რათა ბიჭ. შენგელია, ექვსი თვით, ჯამაგირის მოუკლებლათ, ჩამოყენებულ იქნას მუშათ, ოსტატი გადაყვანილი სხვა ადგილას.

მუშები ენერგიულ ზომებს ღებულობენ, რომ ბოროტ-მოქმედება აღმოფხვრან და კანტროლს უკეთებენ ძველ ბობოლებს.

ბუკსი.

**სად. ტონელნაია** (ყუბანის ოლქი). აქ დაარსა მუშათა პროფესიონალური კავშირი. ქარხნის პატრონებს ამ კავშირის გამგეობამ წარუდგინა მოთხოვნილებანი. თხოულობენ ასი პროცენტით ხელფასის გადიდებას. ეს საქმე გადაეცა გასარჩევათ მომრიგებელ კამერას.

არჩილ მაიშაძე.

# რევოლუცია პროვინციაში.

**პანკისის ხეობა** (თიანეთის მაზრა). 6 მაისს ახმეტის სარაიონო კომიტეტის თხოვნით, თიანეთიდან მიწვეული იყვნენ თფილისის მუშათა საბჭოს რწმუნებულები. დილის 11 საათზე გაიხსნა მიტინგი; ილაპარაკენ: თიანეთის მაზრის კომისარმა გ. მენთეთაშვილმა და თფილისის მუშათა საბჭოს რწმუნებულებმა: ა. სალუქვაძემ და გ. ნუცუბიძემ. კრებას დაესწრო ოსები, ქისტები, თუშები და ფშაველები. რწმუნებულებმა მდაბიოთ გააცნო ხალხს მიმდინარე მომენტი, მკაფიოთ და ხაზ გასმით განუმარტეს ქისტებს და ოსებს შორის ძიების და სისხლის აღების მავნებლობა, წინადადება მისცა ძმურათ ეცხოვრათ. დამსწრე საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა ორატორთა მოწოდებას.

**ახმეტა** (თიანეთის მაზრა). 7 მაისს ახმეტის რაიონში ს. ახმეტაში იყო დანიშნული მიტინგი წინასწარი მომზადებით, თიანეთის კომიტეტის ხელმძღვანელობით. მიტინგს დაესწრო ორი ათასზე მეტი ქალი და კაცი, დიდი და პატარა. მიტინგი გახსნა ადგილობრივ რაიონის თავმჯდომარემ. ილაპარაკეს თფილისის მუშათა საბჭოს რწმუნებულებმა, ადგილობრივმა გლეხებმა და მუშებმა და სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებმა. ხალხი დიდი ყურადღებით უსმენდენ მუშათა საბჭოს რწმუნებულებს, როდესაც სხვა პარტიების სახელით გამოვიდენ ორატორები, გლეხებმა მოითხოვა ს. დ. წარმომადგენელს ელაპარაკა. მთელი ხალხის სიმპატია ს.-დ. მხარეზეა.

**დუშეთის რაიონების გლეხთა დეპუტატების საბჭოს სხდომები** (ოქმებიდან). 3 მაისს თავმჯდომარე ჯავახიშვილმა გახსნა კრება და რაიონების წარმომადგენლებს მიმართა მისასალმებელი სიტყვით და უსურვა მათ ნაყოფიერი მუშაობა; დამსწრეთ მოაგონა მსხვერპლი აწმყო და წარსული რევოლიუციისა, რომლის ხსოვნას საერთო ფეხზე ადგომით პატივი სცა კრებამ: ამის შემდეგ მ. კლიმიაშვილმა მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა; შემდეგ გლეხი ივანე ტატიშვილი ახსიათებს მ. კლიმიაშვილის მოღვაწეობას 1905 წელში, აღნიშნავს მისგან განცდილ ტანჯვას თავისუფლებისთვის ბრძოლაში.

კრებას მიესალმა ამხანაგი ს. თავაძე და წინადადება შეიტანა, რომ მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოთ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების გმირებს კარლო ჩხეიძეს და კაკი წერეთელს და თფილისის მუშათა საბჭოს ბელადს ნოე ჟორდანიას, რაც ერთხმათ მიიღო კრებამ.

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ბაზალეთის რაიონის წარმომადგენელმა, კრებამ დაიწყო მუშაობა. მოისმინეს:

1) მაზრის კომისარის მოხსენება.
2) მოხსენება ამიერ კავკასიის კომიტეტის მიერ გამომუშავებული წესების შესახებ, რომლის თანახმათაც უნდა მოეწყოს ადგილობრივი სამართველო.
3) მიწის საკითხი.
4) ჩვენი დამოკიდებულება დღევანდელ მომენტთან.
5) სასურსათო საქმე.
6) მილიცია, მისი ორგანიზაცია და ჯამაგირები.
7) საკითხი სამაზრო გლეხთა საბჭოს ბიუროს შედგენის შესახებ, რომელიც მუდმივათ უნდა იღებდეს მონაწილეობას ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის სხდომებში.
8) ორშაბათობით უქმობა.
9) ბრძოლა მევახშეობის და ჩარჩების წინააღმდეგ.
10) ქელეხების მოსპობა.
11) საკითხი დედის ერთა შვილების სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლების შესახებ.
12) ტყის და საძოვარი ადგილებით სარგებლობა.
13) ლოთობასთან ბრძოლა.
14) ფარესაშვილების ოჯახში მომხდარი უბედურება და მსხვერპლი 1905 წელში.
15) სამღვდელოების შენახვა.
16) ხარჯები სოფლის კანცელიარიის შესანახათ.
17) გადამდებ სენის წინააღმდეგ ბრძოლა.
18) გამწვავებული მდგომარეობა სხვადასხვა თემთა შორის, რომელიც მოსახლეობენ დუშეთის მაზრაში (ქართველები, ოსები, ფშავხევსურები და ქისტები).
19) სარაიონო კომიტეტების შექმნა საზოქალაქოს ფარგლებში.

ს. თავაძე კრებას აცნობს საქმის ვითარებას, მუხრანის რაიონში, ის აღნიშნავს, რომ იქ შესდგა ადგილობრივი სასამართლოები, რომლებიც არჩევენ სხვა და სხვა სოფლის საქმეებს და აგრეთვე სოფლებზე აძრულ საჩივრებს. ტყის დაცვა თვით ხალხმა იკისრა და ამან სასურველი ნაყოფიც გამოიღო, ასე რომ არავითარ ცარცვას და გაჩეხვას იქ ადგილი არა აქვს, ლოთობის წინააღმდეგ მიღებულია ზომები.

ფასანაურ-ყაზბეგის პროპაგანდისტი მოახსენებს კრებას ფასანაურში სარაიონო კომიტეტის გაუქმების შესახებ, რადგანაც იქ საქმეების წარმოება ხელში ჩაიგდო ნაციონალისტებს, რომლებიც არ იყვნენ დემოკრატიული წესით არჩეულნი. ამისათვის—ამბობს მომხსენებელი—უფრო სამართლიანი იყო და მეტი უფლებაც ჰქონდათ დროებით გამგეობა გადაცემოდა ადგილობრივ ჯარისკაცთა საბჭოს. ეს ასეც მოხდა, მხოლოდ იქვე აღნიშნავს, რომ ასეთი მდგომარეობის დატოვება დიდ-ხანს არ შეიძლება და სასურველად სცნობს, რაც შეიძლება ჩქარა მოხდეს სარაიონო კომიტეტების არჩევნები, თანახმად ამიერ კავკასიის კომისარიატის მიერ გამომუშავებული ინსტრუქციისა. პროპაგანდისტი პ. ავალოხაშვილი აღნიშნავს, რომ მას არ გასძნელებია გლეხთა შორის შეექმნა ის ორგანიზაციები, რომლის წარმომადგენლებიც დღეს აქ მოსულან და ცხოვრებაში ატარებენ დემოკრატიულ ლოზუნგებს. ჟინვალის რაიონის წარმომადგენელი გ. შანიძე თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ გლეხებს და თავად აზნაურობის შორის მდგომარეობა ძლიერ გამწვავებული იყო, სანამ შეიქნებოდა ხალხის ნდობით აღჭურვილი კომიტეტი. საგურამოს რაიონის წარმომადგენელი ლ. მამულაშვილი ამბობს, რომ საბალახოებით სარგებლობის საქმე გამწვავებულ განწყობილებას ჰქმნიდა სხვა და სხვა სოფლებს შორის, მაგრამ ეხლა მომრიგებელი კამერების დაარსების შემდეგ საბალახოებით სარგებლობა სასურველათ მოეწყო. რაც შეეხება ტყის საკითხს—განაგრძობს ორატორი გლეხკაცობამ თავის თავზე იდვა მისი დაცვა და ამ მიზნით კიდეც დაუყენა თავისივე მცველები ტყეს. ამასთანავე ერთად აღნიშნავს, რომ თითო ოროლა პირს აღმოაჩნდა შენახული ხორბალი და რადგანაც იქ საშინელი პურის სიძვირე იყო, ამისათვის პური რაიონის კომიტეტმა მათ ჩამოართვა და შეღავათიან ფასებში დაურიგა იმათ, ვისაც პური არა ჰქონდა. მცხოვრებლებს აეკრძალათ პურისაგან არაყის გამოხდა. ბაზალეთის რაიონის წარმომადგენელი ტატე შუშიაშვილი აღნიშნავს ტყის მცველის გაბო ეპიტაშვილის უზნეო და უდიერ მოქცევას. მლეთის რაიონის წარმომადგენელი ი. შადური მიუთითებს კრებას სკოლის გახსნის საჭიროებაზე.

ილაპარაკა აგრეთვე მცხეთის რაიონის წარმომადგენელმა, რომელმაც სთქვა, რომ საჭიროა ჩქარა შესდგეს სარაიონო კომისარიატი.

ქაიხევის რაიონის წარმომადგენელი აღნიშნავს მცხოვრებთა უვიცობას და ითხოვს რომ სკოლის გახსნით დაეხმარონ მათ.

ყვავილის რაიონის წარმომადგენელი ამბობს, რომ საჭიროა ყვავილის არსებული აღმასრულებელი კომიტეტის რეორგანიზაცია და არჩევა ისეთი პირებისა, რომლებიც შეეფერებოდენ დღევანდელ მომენტს და შეეძლოთ საქმის გაკეთება.

გრემის ხევის წარმომადგენელი მოითხოვს, რომ ტყის გაჩეხვის წინააღმდეგ მიღებული იქმნეს ზომები.

წირის და ლეხურის წარმომადგენლები აღნიშნავენ მიწის (სიძვირეს) სიცოტავეს და ამბობენ, რომ მათ საშველება მიეცეთ ისარგებლონ სხვა სოფლების თავისუფალ მიწებითო. ამის შემდეგ კრება წყდება.

(შემდეგი იქნება).

# გაზეთის სასარგებლოთ.

**ხოფ. გოგოლესუბანი** (გურია). ახლად გარდაცვალებულის ბერო სიხარულიძის ძმის შვილებმა: ნესტორ, ნოე და ილიკომ თავის ბიძის ხსოვნის აღსანიშნავათ, ნაცვლათ ქელეხისა 100 მ. გადასცა ადგილობრივ ს. დ. ორგანიზაციას, რომელიც შემდეგნაირად განაწილდა: 30 მ. ჩოხატაურის პირველ-დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლის უღარიბეს მოწაფეთა სასარგებლოთ, 20 მ. ფარცხმის სკოლას, 10 მ. ჩოხატაურის ბიბლიოთეკას, 10 მ. გაზეთ „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლათ, 10 მ. გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ ფონდის გასაძლიერებლათ, 20 მ. გადაეცა ადგილობრივ ს. დ. პარტიას, რითაც შეიძინენ საჭირო წიგნაკ—ჟურნალებს.

ილია ბერძენიშვილი.

ამასთანავე გახლებთ ათ მანეთს, რომელიც შემოსწირა გაზეთ „ერთობის“ რედაქციას ბ. სილიბისტრო გოგოძემ, მისი ძმის, გარდაცვალებულის მიხაილის ხსოვნის აღსანიშნავათ, განსვენებულის დასაფლავების დღეს ჩვეულებრივი ქელეხის მაგიერ, აღნიშნულმა პირმა დასახელებული მიზნით შემოსწირა ასკანაში მომავალ სასწავლებლის ფონდის გასაძლიერებლათ ორმოცი მანეთი, ხოლო ასკანის სამკითხველოს ათი მანეთი, რისთვისაც მადლობას ვსწირავთ და ვისურვებთ ბევრს მიებაძონ ასეთი მაგალითისათვის.

გაზეთ „ერთობა“-ს ს. სარგებლოთ ს. საჭილაოს „პლატფორმაზე“ შეგროვდა პრესის დღეს 52 მ. 70 კ. გიგზავნით ეხლავე.

ქ. კალაძე.

ამასთან გახლებთ 22 აპრილის პრესის დღის აღსანიშნავათ 52 მ. 30 კ. შეგროვილს.

მონდობილობით ი. პერტია.

**გაგრა.** სალამი „ერთობის“ რედაქციას. ამასთანავე გიგზავნით ფონდის გასაძლიერებლათ 177 მან.

პატივისცემით: ნესტორ ბერაძე.

**ხოფ. ხაჭილავო.** გახლებთ 94 მან. და 75 კ. ხე-ტყის მუშების შორის შეგროვილს „ერთობის“ ფონდისთვის.

მონდობილობით პლატონ ე. ძნელაძე.

მე უფროსმა მზარეულმა რესტორან „ბონდის“ სერგო ლომინაძემ შევაგროვე ჩვენ მოხელეებს შორის 14 მან. და გთხოვთ გაუწიროთ გაზეთი „ერთობა“ ფრონტზე რომელიმე ლაზარეთს, სადაც იმყოფებიან ქართველები ექვსი თვით. დანარჩენი გადასცეთ გაზეთ „ერთობის“ ფონდს.

პატივისც. სერგო ლომინაძე.

ჩვენ სადგურ მიხაილოვის ტავარნის და ბაგაჟის მუშები რიცხვით 13 კაცი, გახლებთ ჩვენ შორის შეგროვილ წვლილს 14 მ. გაზ. „ერთობის“ ფონდისათვის.

მონდობილობით ი. ლეზანიძე.

ჩვენ, მიხაილოვის დეპოს და ვაგონის ცეხის მუშები, გიგზავნით ჩვენ წვლილს 90 მ. 65 კ. გთხოვთ ეს თანხა გაუნაწილოთ შემდეგ გაზეთებს: „ერთობას“ 30 მ., „ბორბას“ 20 მ., „ფაიქარს“ 20 მ., „პირველ ნაბიჯს“ 20 მ.

ამხანაგების მონდობილობით ვ. გიორგაძე და თ. სხილაძე.

გახლებთ 10 მ. ჩემი ქმრის, ეერმანე ვასილის ძე დათუნაშვილის ხსოვნის აღსანიშნავათ, ჩვენი გაზეთ „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლათ.

გოგოლა დათუნაშვილი.

ჯ. კ. სერაფიონ ჭელიძისაგან მივიღეთ სამგლოვიარო წერილი [illegible] გარდაცვალების გამო. [illegible] ფონდისთვის მივიღეთ 50 კ.

ერმილე ბარამიძისაგან 2 მ. ერთი მ. გაზეთის და ერთიც პოლიტიკურთა სასარგებლოთ.

შერიფხანეს ს. დ. კომიტეტისაგან მივიღეთ 200 მ. საოლქო კომიტეტის ორგანოების სასარგებლოთ.

**თფილისის სადგური.** ამას წინათ გარდაიცვალა „ბაგაჟის კასის“ მოსამსახურე დიმიტრი კრავჩენკო. ჩვენ მისმა ამხანაგებმა, შევაგროვეთ ურთიერთ შორის 52 მანეთი და ნაცვლათ გვირგვინისა, რომლითაც უნდა შეგვემკო განსვენებულის ცხედარი, გახლებთ ამ ფულს, რათა ნახევარი გადასცეთ პოლიტიკურებს და ნახევარი მოახმაროთ გაზეთ „ერთობის“ ფონდს.

ბაგაჟის კასის მოსამსახურენი.

ნ. მარქაროვმა 5 მან. შემოსწირა ჯარის კაცებისათვის გაზეთის გასაგზავნათ.

გიგზავნით 22 მ. და 60 კ. და გთხოვთ „ერთობის“ ორი ცალი სამი თვის განმავლობაში ეგზავნოთ სად. წიფაში და ერთიც გომში ე. ჩხაიძის სახელზე.

ერასტი ირაკლის ძე ხამსონია.

მუშათა საბჭომ მიიღო იოსებ ჩიტაიასაგან 174 მ. 40 კ. რევოლიუციის გმირთა სასარგებლოთ თფილისის ლიმონათის ქარხნების მუშებში შეგროვილი.

**აჯიკაბული.** გაზ. „ერთობის“ ფონდისათვის მივიღეთ სამი მან. ბიქტორ ფუთურაძისაგან.

# ჩვენი ფოსტა.

**შენგელიას.** თქვენი განცხადება მივიღეთ 23 მაის.

რედ.-გამომცემელი ვლ. ზ. ბოხოხაძე.


**ვ. ზ. შეგრაზიანი**

შინაგან ავათმყოფობა ჭლექისა და გულის. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყოველნაირ ჭლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: [illegible], —ტრიპითა. დიდი სალინიკიდი [illegible] მიიღება და არხონგალის ტოკითა ფილტვების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაგარის ჭლექის, სისხლ ნაკლებობის, ჭიპლობის, ნევრალგიისთვის. ხერხემლის ტვინის ავათმყოფობის ასთმის, [illegible], და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7ს-მდე. მისამართი: [illegible] ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

**სტუდენტი** პეტროგრადისა უნივერსიტეტის (ყოფილი მასწავლებელი) ამზადებს ყველა უწყების პირველ-დაწყებითი, დაბალი და საშუალო სკოლებისთვის აგრეთვე სხვადასხვა ხარისხი და წოდებაზე. ვერა, ყაზბეგის ქუჩა, № 5.

**ექიმი ივანე თიკანაძე**

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი- კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

**ექიმი კ. ი. გვარჯალაძე**

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცე[illegible] სლის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ქ. ქუთაისში.

**ექიმი მ. ი. ჩხენკელი**

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ქუთაისი.

**ექიმ გ. ი. გოკიელის**

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ღ. საათამდე


# მატარებლების მიმოსვლა

ამიერ კავკასიის რკინის გზებზე (ნაჩვენებია თფილისის დრო).

თფილისიდან გადის:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმისაკენ | სწრ. | № 8, | 11 | ს. 08 | წ. | დილ. |
| „ | სამგზ. | „ 9, | 10 | „ 13 | „ | საღ. |
| ბაქოსაკენ | საჩქ. | „ 6, | 11 | „ 18 | „ | დილ. |
| „ | სამგზ. | „ 8, | 3 | „ 54 | „ | დილ. |
| „ | სწრ. | „ 4, | 9 | „ 28 | „ | საღ. |
| ყარსისაკენ | სამ. | „ 4-8, | 11 | „ 18 | „ | საღ. |
| თელავისაკენ | | „ 7 | 7 | „ 58 | „ | დილ. |

თფილისში მოდის:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამ. | № 10, | 9 | ს. 52 | წ. | დილ. |
| „ | სწრ. | „ 4, | 8 | „ 38 | „ | საღ. |
| ს.-ბორჯ. | სამ. | „ 20, | 7 | „ 48 | „ | დილ. |
| „ | „ | „ 18, | 10 | „ 12 | „ | საღ. |
| ბაქოდან | სწრ. | „ 3, | 10 | „ 03 | „ | დილ. |
| „ | სამგზ. | „ 7, | 4 | „ 12 | „ | საღ. |
| „ | საჩქ. | „ 5, | 8 | „ 48 | „ | საღ. |
| თელავიდან | | „ 8, | 7 | „ 58 | „ | საღ. |